# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 28 აგვისტო. 2023 წ. №98 (9630) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღლებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




# აფხაზეთი უარს ამბობს!

იხ. 4 გვ.

## დღის წესრიგშია აფხაზეთის იძულებით ნებაყოფლობით შეუერთდეს რუსეთს!

იხ. 5 გვ.

გრიგოლ ონიანი




## „სტალინი ქართული ეროვნულობის პირდაპირი მტერი იყო, რის გააზრებაც ქართველ საზოგადოებას ჰაერივით სჭირდება“?!

იხ. 6 გვ.



**ჯორჯ ფროსტ კენანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1952 წელს:**

„...პრინციპული და უყოყმანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

პაატა კოღუაშვილი, გივი თალაკვაძე

## ქვეყნის უსაფრთხოება და სტიქიის ტრაგიკული შედეგები

იხ. 3 გვ.

## განზრახულობათა და გარემოებათა ბალანსი - ქვეყნის ეფექტიანი მართვის საფუძველი

გიორგი ბაქრაძე: მოდი, ვაღიაროთ,

## ნესტან-დარეჯანი სინამდვილეში ცუდი ადამიანია!..

იხ. 11 გვ.



გია მურღულია:

**წარმოუდგენელი სიბეცეა, საჯაროდ აცხადებდე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქალებს არ ამეფებენ ან ნესტანი ცუდი ადამიანია!**

## რა მექანიზმებით აზღვევენ მოსახლეობას წამლების დეფიციტისგან?!

იხ. 8 გვ.

ბაზარზე უფრო მეტი მანქანაა, ვიდრე მყიდველი...



იხ. 7 გვ.

## გურამ ფიფია – ღირსების მაგალითი

სიმართლე, სიცოცხლე, სიმღერა...

# დავით ქართველიშვილი კელი დეგნანს ძეგვის ბირჟაზე აგზავნის!





**„ქალბატონ კელისა და მის განდას ჩემთან დაკავშირებით შესასრულებელი ამოცანა მინდა, გავუადვილო. გირჩევთ, თქვენს დაქვემდებარებულ „კილერების“ საზოგადოებაში უკვე აპრობირებულ გზას მიმართოთ – მოკლული შვილის საფლავზე მამაც ააფეთქოთ“,** – ასე გამოეხმაურა „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი კელი დეგნანის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოების პოლარიზებას იწვევენ, ეს ადამიანები „გვერდზე უნდა გავწიოთ“.

ქართველიშვილის თქმით, კელი დეგნანის ეს განცხადება არის შეკვეთა, ხოლო მისი შემსრულებელი საქართველოში ბევრია.

**„არ შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ჩემზე კომენტარს აკეთებს და ამას ნამდვილად ვერ მივიღებ პირადულად, თუმცა მივიჩნევ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი, ვინც ცდილობენ, დააბნიონ ქართველები, გაყონ ეს საზოგადოება ან შეინარჩუნონ ეს გაყოფა და პოლარიზაცია, გვერდით უნდა გავწიოთ“ – კელი დეგნანი...**

**თუ იმ ადამიანებში, ვინც „ყოფს“ და „აპოლარიზებს“ ჩვენს საზოგადოებას, ის ადამიანები იგულისხმა, ვინც კელი დეგნანზე კომენტარებს აკეთებდა, ნება მიბოძეთ ვივარაუდო, რომ სადღაც, დიდი სიის ბოლოში, მეც ვიგულისხმები. რა მნიშვნელობა აქვს, რომ მე ეგრე არ ვფიქრობ და ასეთ ადამიანთა რიცხვს ვერც საკუთარ თავს და ვერც ჩემს მეგობრებს ვერ მივაკუთვნებ. „კილერების“ ენაზე ვიტყვი: ორგანიზატორმა „შეკვეთის“ ბრძანება უკვე გასცა და შემსრულებლის მეტი რა არის...**

**დიახ, ეს არის „შეკვეთა“. სხვანაირად ფრაზა „ეს ადამიანები გვერდზე უნდა გავწიოთ“, მე არ გამეგება. ამიტომ ქალბატონ კელისა და მის განდას ჩემთან დაკავშირებით შესასრულებელი ამოცანა მინდა, გავუადვილო. გირჩევთ, თქვენს დაქვემდებარებულ „კილერების“ საზოგადოებაში უკვე აპრობირებულ გზას მიმართოთ – მოკლული შვილის საფლავზე მამაც ააფეთქოთ. ამის გაკეთება არ გაგიჭირდებათ და სადღაც (გაგიკვირდებათ) მადლობელიც კი დავრჩები თქვენი...**

**ოღონდ დანარჩენი ყველას „გვერდით გაწევა“ გაგიჭირდებათ. გაგიადვილდებოდათ IRI-ს და NDI-ს გამოკითხვების მიხედვით, სადაც 85%-იანი თქვენ მიერ განადგურებული „დასავლური ფასეულობების“ მომხრე მოსახლეობა აშკარად „გვერდზე სწევს“ იმ 20%-იან „უმცირესობას“, ვისაც ჯერ კიდევ, სიზმარში სოხუმი და ცხინვალი ელანდება, მაგრამ რეალურად, ყველას „გვერდზე გაწევა“ თქვენ გაგიჭირდებათ. თუმცა ჩემით შეგიძლია დაიწყოთ – ძეგვის ბირჟაზე ქართველიშვილების საფლავი უნდა იკითხოთ. Good Luck!“** – წერს ქართველიშვილი.

# ნიკა გვარამიას დაჯილდოება კიევში

## როგორ აღნიშნა უკრაინამ დამოუკიდებლობის დღე



**აღიარება მთავარი პარტნიორისგან და მხარდაჭერის საჯარო დადასტურება. უკრაინა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არასდროს შეაქცევს ზურგს ქართველ ხალხს, ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას, თავისუფალ მედიას და დასავლურ პოლიტიკურ მისწრაფებებს. სწორედ ამ სულისკვეთების განაცხადი იყო კიევში „მთავარი არხის“ დამფუძნებლის და „პოლიტიკური პატიმრის“ ნიკა გვარამიას დაჯილდოება. ის გახდა პირველი ქართველი, ვისაც უკრაინელი ხალხის წინაშე დამსახურებისთვის უკრაინის რადას მედალი მიენიჭა.**

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ რადას თავმჯდომარემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ჯილდო განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და, რომ დაჯილდოება შემთხვევით არ დაემთხვა უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს.

**უკრაინა აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს და ნიკა გვარამიას დაჯილდოება იყო მთავარი ქართული ჩართულობა ამ ზეიმში.**

**კიევში დამოუკიდებლობის დღეზე დასასწრებად ქართული ოპოზიცია ჩავიდა. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვიდეომიმართვა გაგზავნა. პრემიერმა ღარიბაშვილმა კი სამწინადადებიანი ტვიტი.**

# თამარ ჩიბურდანიძე: გვარამია, რომელიც საქართველოს ისტორიაში სისხლიან ფურცლად ჩაიწერა, ვერც ერთი ჯილდო ვერ გახდის რეიტინგულს

**„გვარამიას დაჯილდოება ალბათ ამერიკიდან უბრძანეს უკრაინის ხელისუფლებას და მათაც შეასრულეს. გვარამია ხომ ახალ პოლიტიკურ ლიდერად სურთ ამ გამქრალი ოპოზიციისთვის, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჰგონიათ, თუკი უკრაინის ან სხვა ქვეყნის ხელისუფლება მსგავსი დაკვეთით ჯილდოს გადასცემს გვარამიას, რეიტინგი აეწევა საქართველოში.**

**ასეთ მცდარ პოლიტიკას აწარმოებენ ოპოზიციის ფლანგზე და მერე უკვირთ, რეიტინგი რატომ არ გვაქვსო? როგორ შეიძლება ოპოზიციის წარმატებულ ლიდერად აქციო პირი, რომელიც ამავე გუნდის წარუმატებელი იდეოლოგი იყო წლების განმავლობაში?**

**იმ პერიოდის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, რომელიც საქართველოს ისტორიაში სისხლიან ფურცლად ჩაიწერა, ვერც ერთი ჯილდო ვერ გახდის რეიტინგულს. სანამ ამას ვერ შეიგნებენ ის სტრატეგოსები, რომლებიც ამ გასაცოდავებული ოპოზიციით ხელისუფლების შეცვლას ცდილობენ, მანამდე იქნება მათი რეიტინგი მინიმუმს დაბლა.**

**ჩვენ კი, რა თქმა უნდა, გვაწყობს გვარამია ოპოზიციის ლიდერად – ქართველ ხალხთან დიდი ენერგიის დახარჯვა აღარ დაგვჭირდება წინასაარჩევნოდ მკვლელი ხელისუფლების დაბრუნების შემთხვევაში წარმოდგენილი რეალობის დასანახად“,** – წერს ჩიბურდანიძე.

# თამარ გაბუნია კოპენჰაგენში

**ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თამარ გაბუნიამ, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.**



ღონისძიების ფარგლებში თამარ გაბუნია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ დირექტორ ჰანს კლუგეს შეხვდა. მხარეებმა საქართველოში ჰოსპიტალური სექტორის დაფინანსების DRG მოდელი, ქვეყანაში, ონკოლოგიის მართვის კუთხით არსებული სიახლეები, ასევე, პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მიმდინარე სხვა პროგრამები განიხილეს.

ევროპის რეგიონული წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებული 2-დღიანი შეხვედრების მიზანი, წევრი ქვეყნებისთვის მაღალი ხარისხის გაიდლაინების მიღებასა და ადაპტაციაში ხელშეწყობა იყო.

# თავდაცვის ძალების ავიაციის პარკი განახლდა

**თავდაცვის ძალების სამხედრო ავიაციის გაძლიერება და არსებული საფრენი აპარატების აღდგენა-რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ავიაციის პარკს კიდევ ერთი განახლებული სუ-25 შეემატა,** – ამის შესახებ აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე მარნეულში, შერეული საავიაციო ესკადრილიის ბაზაზე იმყოფებოდა და საავიაციო საშუალებების განვითარების პროცესს გაეცნო. თავდაცვის მინისტრი სასწავლო პროცესსაც დააკვირდა და განახლებული საფრენი აპარატის სატესტო ფრენას წყვილში შეუერთდა.

**„დელტასა“ და თბილავიამშენის ერთობლივი ძალისხმევით, ქართველი სპეციალისტების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად, უკვე გაიმართა 7 ერთეული სუ-25-ის ტიპის თვითმფრინავი. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა 3 ერთეული L-39 ტიპის სასწავლო-საბრძოლო საფრენი აპარატების რემონტზე. საფრენი აპარატების აღდგენა-მოდერნიზაცია ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს. პარალელურად, მფრინავები და ტექნიკური პერსონალი კვალიფიკაციისა და სპეციალობების შესაბამისად გადამზადებას გადიან.**





# შიომღვიმეში არავინ დაშავებულა, ძეგლი არ დაზიანებულა!

**შიომღვიმის მონასტერთან კლდის ჩამოშლის გამო, საპატრიარქო ინფორმაციას ავრცელებს.**

**შიომღვიმის მონასტრიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა და არ დაზიანებულა მონასტერი.**

**როგორც ირკვევა, მონასტრის მიმდებარე კლდიდან პერიოდულად ხდება ხოლმე ქანების ჩამოშლა. ხოლო წელს კი შედარებით მასშტაბურ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ადგილზე მუშაობენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები!**

# ქვეყნის უსაფრთხოება და სტიქიის ტრაგიკული შედეგები



## განზრახულობათა და გარემოებათა ბალანსი – ქვეყნის ეფექტიანი მართვის საფუძველი

### 3 აგვისტოს რაჭაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები და პრობლემები.

**32 წელზე მეტი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მრავალი სამრეწველო დარგის და ობიექტის განადგურებამ, ადგილობრივი სანედლეულო ბაზის საფუძველზე ინდუსტრიულმა განუვითარებლობამ, საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქციის წარმოებისადმი უყურადღებობამ, უახლესი და პერსპექტიული ტექნოლოგიებით დაუინტერესებლობამ გამოიწვია ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების დაბალი ხარისხი. არასრულყოფილი გახდა რეგიონების და მთლიანად ქვეყნის მართვის სისტემა.**

სამწუხაროდ, ვერ ავუვლით გვერდს იმ მიზეზებს, რომლებიც ადრეც იწვევდა და დღესაც იწვევს ისეთი დაბრკოლებების შექმნას, რომელიც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მართვის სისტემის სრულყოფაზეა დამოკიდებული და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხთან, მისი საქმიანობის წარმატებულ წარმართვასთან არის დაკავშირებული.

გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან გლობალური კლიმატური პროცესების მკვეთრი გაუარესება XXI საუკუნის მეორე ათწლეულიდან გადაიზარდა მსოფლიოს მოსახლეობაზე, საწარმოო პროცესებზე უპრეცედენტოდ მწვავე ზემოქმედებაში.

სამხრეთ კავკასიაში დმანისის (1978 წ.), სპიტაკის (1988 წ.) და საჩხერის (1991 წ.) მიწისძვრების გარდა, დამანგრეველ ბუნებრივ კატასტროფებს ადგილი, შეიძლება ითქვას, არ ჰქონია. მართალია, აღნიშნული „მშვიდი" პერიოდი ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებებით არ გამოირჩეოდა. მეტიც: 2015 წელს თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარმა მოულოდნელმა წყალდიდობამაც არ გამოიწვია ადეკვატური, პრევენციული ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებისა და რეალიზაციის განხორციელება და საქმე, ძირითადად, წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციით (რაც ჯერაც არ არის დასრულებული) შემოიფარგლა.

3 აგვისტოს ონის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, უკიდურესად ტრაგიკული შედეგების მიუხედავად, **კვლავ არ გამოიწვია (ჯერჯერობით მაინც) ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების პრევენციასთან დაკავშირებული პრინციპული შეფასებები და მომავალში მსგავსი მოვლენების მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების და ასეთი მოვლენებისადმი მზადყოფნის განხორციელების აუცილებლობის განწყობა.** პასუხისმგებელი პირებისა და მოხელეთა ერთი ნაწილის მიერ მთავარ მიზეზად კატასტროფის გამომწვევი ფაქტორების ერთდროული „ამოქმედება" სახელდება.

საქართველო დღეს მრავალი გამოწვევის წინაშეა. მათ შორის უმთავრესია **ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მდგარი განვითარების უზრუნველყოფა.**

ამოცანა რთულია, მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება!

მიმდინარე პრობლემების გადაჭრა ქვეყნის მართვის პრინციპებზეა დამოკიდებული.

**მართვა სისტემურ ხასიათს უნდა ატარებდეს და უნდა განთავისუფლდეს მმართველი თუ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების გასაგები, მაგრამ ქვეყნის ზოგადი განვითარების ინტერესებიდან დაცლილი კერძო მოტივაციებისგან.**

განვლილი 32 წელი, რომელიც რამდენიმე პოლიტიკური „მიკროეპოქისგან" შედგებოდა, ხშირად მართვის „იმპულსური" და არა სტრატეგიული ხასიათით გამოირჩეოდა. მმართველობის სუბიექტების ცვლილება იწვევდა ქვეყნის ორიენტაციის ცვლილებებსაც, ერთიანი მკაფიო სტრატეგიის უქონლობა კი ამუხრუჭებდა უმდიდრესი ისტორიულ-კულტურული, მაღალი ინტელექტუალური და მრავალფეროვანი რესურსების მქონე ქვეყნის ადეკვატურ განვითარებას.

**რაც შეეხება ქვეყნის მართვის სისტემას:**

**ნებისმიერი ქვეყნის მართვის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მეზობელ, რეგიონულ და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს, მაგრამ ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს საკუთარ ისტორიულ გამოცდილებას, ტრადიციებს, მიმდინარე და სტრატეგიულ მიზნებსა და რაც მთავარია – საკუთარ შესაძლებლობებს.**

იმაზე, თუ რამდენად მაღალი იქნება ასეთი მიდგომის რეალურ მოქმედებებში გადატანის ხარისხი და რამდენად ეფექტიანი და შედეგიანი იქნება ქვეყნის სათავეში მყოფი ხელისუფლების საქმიანობა, დამოკიდებულია როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი თაობების ცხოვრების არსი, ხარისხი, გლობალურ სივრცეში მისი ადგილი, როლი და რეპუტაცია.

ქვეყნის მართვა, უპირველესად, მისი მიმდინარე გამოწვევებითა და უცვლელი ფასეულობებით განისაზღვრება და საჭიროა ეფუძნებოდეს ქვეყნის **პრიორიტეტებისა და რესურსების ბალანსის გაცნობიერებასა და მკაფიო, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ აღიარებული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.**

**რა არის დღევანდელი საქართველოსთვის პრიორიტეტული?**

**1. საკუთარი ისტორიული და კულტურული იდენტობის შენარჩუნება და განმტკიცება;**

**2. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 1990 წლის საზღვრებში;**

**3. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის არსებითი ამაღლება;**

**4. პოლიტიკური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, აგროსასურსათო უსაფრთხოების, სამედიცინო, სადაზღვევო და საბანკო-საფინანსო მომსახურების მკაცრი რეგულირება;**

**5. განათლებისა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბება;**

**6. მიმდინარე გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ვითარების ოპერატიული და გონივრული გამოყენება ქვეყნის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის მიზნით.**

პასუხობს თუ არა ქვეყნის მართვის არსებული მოდელი ამ ამოცანების გადაწყვეტას? მხოლოდ ნაწილობრივ და აი რატომ:

**საქართველოში მოქმედებს 11 სამინისტრო, 2416 საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ სტრუქტურებში მხოლოდ მოხელეთა რაოდენობა შეადგენს, დაახლოებით, 160 ათასი ადამიანს.**

სამინისტროებსა და სსიპებში მომუშავეთა უმრავლესობა ხელმძღვანელ თანამდებობებზეა. უკიდურესად მცირეა მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე ექსპერტებისა და კონსულტანტების რაოდენობა. მოხელეთა უმეტესობა თანამდებობაზე ინიშნება, პრაქტიკულად, საკონკურსო შერჩევის გარეშე.

**მართვის სისტემის სრულყოფისა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით „საქართველოს რესპუბლიკის" გონიერ მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს მთავრობის ასეთ სტრუქტურებს:**

**შენარჩუნებული სამინისტროები:**

**1. საგარეო საქმეთა;**
**2. იუსტიციის;**
**3. თავდაცვის;**
**4. შინაგან საქმეთა;**

**ახალი სამინისტროები:**

**5. ეკონომიკისა და ფინანსთა;**
**6. სოციალურ საკითხთა და სამედიცინო მომსახურების;**
**7. სახელმწიფო მოწყობის;**
**8. გარემოს დაცვის;**
**9. სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის;**
**10. კულტურისა და ძეგლთა დაცვის;**
**11. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა;**
**12. განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების.**

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ქვეყნის მართვის სისტემა, რამდენად ოპტიმალური ხასიათიც არ ანდა გააჩნდეს მის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სტრუქტურებს – გადამწყვეტ გავლენას ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ისინი ვერ მოახდენენ, თუ არ იქნება მიღწეული ძირითადი ამოცანა – **ქვეყანა უნდა იყოს აღქმული, და უპირველესად მისი მოქალაქეების მიერ, როგორც ერთი მთლიანი ფენომენი – თავისი მოსახლეობით, ისტორიით, ბუნებით, კულტურით, ტრადიციებით, მიწით, ტყით, მდინარეებით, მთებით, ზვავებით, მეწყერებით, წყალდიდობებით, გეოლოგიური თავისებურებებით, მომავლის გეგმებითა და მიზნებით...**

ერთი სიტყვით, რეალური ცხოვრების უკლებლივ ყველა ხელშემწყობი და ხელშემშლელი ატრიბუტითა და კომპონენტით, რომელთა ერთობლიობა ქმნის კიდეც მხოლოდ ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელ მოცემულობას, რითიც ხდება მისი გარჩევა სხვა ქვეყნებისგან და რაც ქმნის მის განუმეორებელ სახეს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განზრახულობათა და გარემოებათა ბალანსის მიღწევა და წინა და ამჟამინდელი თაობების სურვილებისა და მიზნების განხორციელებისკენ წარმატებული სვლა.

**პაატა კოღუაშვილი,**
**გივი თალაკვაძე.**

## რაჭაში მიწის ფერდობის ჩამოშლის გამო საფრთხე არ არსებობს!

ონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი აცხადებს, რომ სოფელ ზუდალში მიწის ფერდობის ჩამოშლამ ცენტრალური საავტომობილო გზის გარკვეული ნაწილის დაზიანება გამოიწვია.

**„ქუთაისი-ალპანა-მამისონის 107-ე კილომეტრზე სახიდე გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების დროს ეს საფრთხეც მოსალოდნელი იყო. გათვალისწინებული იყო ყველა პირობა იმისთვის, რომ არ დაზიანებულიყო არავინ, ვინც სამუშაოებში იღებდა მონაწილეობას. რაც მთავარია, სამუშაოების დროს არავინ დაშავებულა. გზა არის გახსნილი მსუბუქი ავტომანქანებისთვის. ამ ეტაპისთვის გამეორების საფრთხე არ არსებობს. ახლა მოხდება გზის აღდგენა, შესაბამისად, არანაირი პრობლემაც აღარ იქნება"!**





Vladimir Popov (Reuters)

# დღის წესრიგშია აფხაზეთის იძულება, ნებაყოფლობით შეუერთდეს რუსეთს!

**2012 წლიდან ოფიციალური თბილისი თანმიმდევრულად ატარებს „სტრატეგიული თმენის“ პოლიტიკას როგორც მოსკოვთან, ისე სოხუმსა და ცხინვალთან მიმართებაში. და ამ პოლიტიკამ გარკვეული შედეგები გამოიღო. კერძოდ, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები თანდათან გალღვა. და ეს – მიუხედავად საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმსხვილესი საპროტესტო აქციებისა, რომელთა მონაწილეებმა უკრაინის ომისა და ზოგადად რუსეთის აგრესიული პოლიტიკის, მათ შორის საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციის ფონზე მოსკოვისადმი ლოიალობის მიუღებლობა გამოხატეს. რუსეთი ხომ მთელი ამ წლების განმავლობაში პედანტურად აგრძელებს ოკუპირებული ქართული რეგიონების შთანთქმას, ინკორპორირებს რა მათ საკუთარ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ფაქტობრივად ყველა სფეროს სინქრონიზაციისა და ჰარმონიზაციის საშუალებით. კანონმდებლობების ჰარმონიზების საფუძველზე ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შექმნის 2020 წელს დამტკიცებული პროგრამები უკვე თითქმის სრულადაა იმპლემენტირებული.**

შთანთქმის ამ დაუფარავი პროცესის პარალელურად საქართველო სოხუმსა და ცხინვალთან ხიდების გადების მცდელობებს აგრძელებდა. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზის უალტერნატივობის თაობაზე. შემდეგ, ორივე რეგიონს რამდენიმე პროგრამა შესთავაზეს, მათ შორის – სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებთა რიგ შეღავათებსა და პრეფერენციებს ითვალისწინებს. საუბარია, კერძოდ, ერთობლივი ვაჭრობისა და ბიზნესის წახალისებაზე, ასევე საქართველოსა და დასავლეთში უფასო სწავლაზე. თუმცა ამ ინიციატივების ყველაზე წარმატებულ კომპონენტად, უდავოდ, იქცა სამედიცინო პრგრამა, რომელმაც არაერთ ათას ადამიანს ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა მისცა და რეალურად, მრავალი სიცოცხლე გადაარჩინა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ძალისხმევამ ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთა თბილისისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად გააუმჯობესა, რაც მიღწევად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამას იქით საქმე არ წასულა. ჯერ კიდევ 2009 წელს ოფიციალურმა თბილისმა ცალმხრივად აიღო ვალდებულება, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ძალა არ გამოიყენოს და ეს ვალდებულება დღემდე ძალაშია. მაგრამ სოხუმი და ცხინვალი კვლავ დაუღალავად იმეორებენ მანტრას თბილისთან ძალის არგამოყენების შესახებ ორმხრივი დოკუმენტების გაფორმების აუცილებლობის თაობაზე, რაც, თბილისის ხედვით, ემსახურება მხოლოდ ერთ რეალურ მიზანს - საქართველოსგან ირიბი აღიარების მიღწევას.

**სადღეისოდ შემდეგი მოცემულობა გვაქვს: ერთის მხრივ, რუსეთი აგრძელებს სოხუმისა და ცხინვალის ფაქტობრივი ანექსიის პროცესს და არსებობს საფრთხე, საბოლოო აკორდად იქცეს აფხაზეთის იძულება, რუსეთის ფედერაციას „ნებაყოფლობით“ შეუერთდეს. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ხომ მოსკოვი უკვე ღიად, მთელი მსოფლიოს თვალწინ გადავიდა ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკაზე ქვეყნის რუსეთის იმპერიის საზღვრებში აღსადგენად და ამ ჭრილში რუსეთი მოქმედებს არა მარტო უკრაინის მიმართ, არამედ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც: მან ჯერ პაწაწინა სოფელი აიღა მიისაკუთრა, ახლა კი აიძულა სოხუმი, მისთვის ბიჭვინთაში 80 ჰა ელიტური ტერიტორია გადაეცა და ამასთანავე, აგრძელებს აფხაზური ეკონომიკის ყველა სტრატეგიული ობიექტის მითვისებისა და რეგიონში დემოგრაფიული სურათის თავის სასარგებლოდ შეცვლას, რაც, ცხადია, პრელუდიაა ოკუპირებული რეგიონის საბოლოო მშვიდობიანი შთანთქმისათვის.**

მეორეს მხრივ, არსებობს თბილისი, რომელიც წლებია, სოხუმთან საერთო ენის პოვნას ცდილობს. ამის პარალელურად კი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობისა და უკრაინის წინააღმდეგ რუსული დამპყრობლური ომის პირობებში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გვარდება. ეს მართლაც უცნაურია იმ ფონზე, რომ მოსკოვი მთელი ამ წლების განმავლობაში აიძულებდა სოხუმს, უკუეგდო თბილისის ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ურთიერთობების მოგვარებას ემსახურებოდა და არც დღეს წყვეტს მცდელობებს, აფხაზეთში თბილისის მიმართ შიში და სიძულვილი თესოს, – ასეთია რუსული სტრატეგიის იმპერიული დუალიზმი „დაყოფისა და ბატონობის“ ჭრილში.

**რუსეთი აგრძელებს სოხუმისა და ცხინვალის ფაქტობრივი ანექსიის პროცესს და არსებობს საფრთხე, საბოლოო აკორდად იქცეს აფხაზეთის იძულება, რუსეთის ფედერაციას „ნებაყოფლობით“ შეუერთდეს**

**რაც შეეხება სოხუმს, შეუძლებელია, იქ არ ესმოდეთ, რომ რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგობებზე ბალანსირების ეპოქა ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა და დროა, თავად დაიწყონ ზრუნვა საკუთარ გადარჩენაზე. ამის გაცნობიერების გამოვლინებად შეიძლება, ჩაითვალის რიგი გაბედული ინიციატივები, რომელიც „პრეზიდენტმა“ ასლან ბჟანიამ მისი მმართველობის დასაწყისში გააჟღერა. მათ შორისაა თბილისთან მოლაპარაკებების ახალი ფორმატის ჩამოყალიბების შესაძლებლობა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია. კერძოდ, 22 წლის 4 დეკემბერს „პრეზიდენტმა“ დაამტკიცა „აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“, რომლის 2.3 პუნქტში ნათქვამი იყო: „აფხაზეთის რესპუბლიკა დასაშვებად მიიჩნევს პირობების შექმნას საქართველოსთან მრავალდონიანი მოლაპარაკებების დამატებითი ფორმატის ჩამოყალიბებისთვის მის ფარგლებში ქართულ მხარესთან ორმხრივი ინტერესის მქონე იმ საკითხების განსახილველად, რომელთა გადაჭრა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში შეუძლებელია“. მაგრამ უკვე 2021 წლის 25 მაისს, ადგილობრივი პოპულისტების, რევანშისტებისა და კრემლის მიერ მართულთა ზეწოლით ბჟანია იძულებული გახდა, უკან დაეხია და ხელი მოეწერა ბრძანებულებისთვის დოკუმენტიდან ხსენებული პუნქტის ამოღების შესახებ. აქ აუცილებელია, ვაღიაროთ ოფიციალური თბილისის გარკვეული ბრალეულობაც: საქართველოს ხელისუფლებას მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა იმხანად ბჟანიას გუნდისგან მომავალ სიგნალებზე რეაგირების კუთხით.**

აფხაზეთის „პრეზიდენტმა“ საკუთარი ინიციატივების დაცვა მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა, კერძოდ – თბილისთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის ნაწილში, ისიც – საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე. 2022 წლის აპრილში ბჟანიამ დაამტკიცა ახალი ჩამონათვალი საქონლისა, რომლის აფხაზეთში შეტანაც მოსახლეობას ლეგალურად შეუძლია. მათ შორისაა ნერგები, თესლი და სხვადასხვა სათესლე მასალები, შინაური ფრინველი, შინაური ცხოველის საკვები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოო დანადგარები, ავტომობილები, სათადარიგო ნაწილები და საავტომობილო ზეთები.

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ რუსეთმა ჯერ კიდევ უკრაინის ომის დაწყებამდე საგრძნობლად შეასუსტა ძალისხმევა აფხაზეთისა და ცხინვალს რეგიონის „დამოუკიდებლობის“ ამღიარებელ სახელმწიფოთა წრის გასაფართოებლად. ცხადია, მოსკოვს უბრალოდ არ ძალუძს კოსოვოს აღიარების ანალოგიით სოხუმისა და ცხინვალის ამღიარებელი ქვეყნების მეტ-ნაკლებად მისაღები რაოდენობა უზრუნველყოს, მაგრამ სულ ოთხი სახელმწიფო - ეს სასაცილოც აღარაა! თუმცა ნათელია სხვა – კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მომენტიც: რუსეთი „ამღიარებელთა“ წრის გაფართოების მიმართ ინტერესს აღარც იჩენს. 2014, განსაკუთრებით კი 2022 წლიდან დაწყებული მოვლენები თვალნათელი დემონსტრირებაა რუსეთის სტრატეგიის საბოლოო შეტრიალებისა „ახალი სუბიექტების აღიარების“ პოლიტიკიდან მათი ანექსიისაკენ. კერძოდ, მოსკოვის მიერ მანამდე „დამოუკიდებლად“ აღიარებული უკრაინული ოლქები და ყირიმის ავტონომია სადღეისოდ რუსეთის კონსტიტუციაში ფედერაციის ახალ რიგით სუბიექტებადაა ჩაწერილი.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ნებისმიერი აფხაზისთვის მარტივი წარმოსადგენია, რა ელის აფხაზეთს, თუკი საბოლოოდ გადასცემს რუსეთს მთელს თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოტენციალს.

სასწორის მეორე მხარეს კი საქართველოა თავისი სამშვიდობო პოლიტიკით. თბილისი აფხაზეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მეტიც, თბილისი სოხუმს ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობებს სთავაზობს, კონფლიქტის მოგვარების მისეული ხედვა კი აფხაზური კულტურული და ენობრივი იდენტობის შენარჩუნებას ითვალისწინებს. არც ისაა დასავიწყებელი, რომ თბილისს ერთი ნაბიჯი აშორებს ევროკავშირში გაწევრების კანდიდატის სტატუსს, ევროპაში კი არ მიმართავენ ბრუტალურ ძალას არც შიდა პოლიტიკაში, არც ოპონენტების წინააღმდეგ. შესაბამისად, მეტი ევროპეიზაცია და მეტი ღიაობა მხოლოდ გააძლიერებს სოხუმს და შესაძლოა, გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყოს რუსეთის მზარდი მადის საპირწონედ. რაც შეეხება სეპარატიზმის პრობლემებს, კატალონიის, შოტლანდიისა და სხვა მსგავსი მაგალითების საკითხები მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული, სამართლებრივი მეთოდებით გვარდება. ბოსნიის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და იგივე კოსოვოს კონფლიქტები ხომ მოგვარდა ან დარეგულირების სტადიაშია შეთანხმებების საფუძველზე და არა ძალის გამოყენების, ანექსიისა და კულტურული იდენტობის დაკარგვის ფასად. და თუ სოხუმი შექმნილ მოცემულობას საკუთარი პრაგმატული ინტერესის გადასახედიდან შეხედავს, ნათელია, რომ იგი რთული, მაგრამ ცხადი არჩევანის წინაშე დგას. უკრაინის ომმა ხომ კიდევ ერთხელ გააშიშვლა რუსეთის საფრთხეცა და რეალური სახეც. ამდენად, სოხუმისთვის უმჯობესია, სცადოს, ჩაეჭიდოს თბილისსა და ევროპას, – ან რუსეთთან პირისპირ დარჩენა მოუწევს.

**ამასთან, სოხუმს გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში მიღება ჰმართებს, რადგან რუსეთ-უკრაინის ომის შედეგები, ასე თუ ისე, ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურებსა და ჩარჩოებს განსაზღვრავს, მაგრამ უკვე რესეთის მიერ შექმნილი, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უკანონო სუბიექტების აზრის გათვალისწინების გარეშე.**

**რაჟდენ ქაჯაია**

## ქართველები ორწლიანი ტყვეობიდან გაათავისუფლეს



**ოკუპანტების მიერ უკანონოდ დაკავებული კახაბერ ნათაძე და მამუკა ჩხიკვაძე თავისუფალი არიან. ისინი უკვე გადმოვიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.**

მამუკა ჩხიკვაძე 2021 წლის 12 დეკემბერს დააკავეს სოფელ ზემო ნიქოზის სიახლოვეს. ყოფილი სამხედრო მანამდე შინდისის გმირთა მემორიალთან ნახეს, მოგვიანებით კი - ნიქოზის სასაფლაოსთან. დაკავებიდან ორ დღეში მისმა მეგობრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჩხიკვაძეს ცხინვალის იზოლატორში სცემდნენ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ. მათ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართეს. სასამართლომ რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ მხარეს, მამუკა ჩხიკვაძის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაავალა.

მამუკა ჩხიკვაძეს 2022 წლის მაისში ოკუპირებული ცხინვალის სასამართლომ 5 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. ცხინვალელი ადვოკატის მიერ განაჩენის გასაჩივრების საფუძველზე 2022 წლის აგვისტოში ჩხიკვაძეს 3 წლით და 8 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. რაც შეეხება კახაბერ ნათაძეს, ის 2021 წლის 10 დეკემბერს ვლადიმერ კანიაშვილთან ერთად ღდულეთის შემოგარენში, ახალგორის რაიონში დააკავეს. კანიაშვილი 2022 წლის 19 აპრილს გაათავისუფლეს.

**„რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, ცხინვალის ციხეში, უკანონო პატიმრობაში, ამ დროის მონაცემებით, საქართველოს კიდევ 4 მოქალაქე რჩება.**




# გაფრთხილებას, მუქარას, სინამდვილეს...

**შემაშფოთებელია რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი მედვედევის განცხადება, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთსა და ოსეთს შეეხება. ამ დონის პოლიტიკური სვავი ჰაერში სიტყვებს ჰარი-ჰარად არ ისვრის. მან სავსებით მკაფიოდ და მსოფლიოს გასაგონად, უპირველესად ჩვენი და ევროპელი პარტნიორების ყურადსაღებად თქვა, რომ „2008 წელს შევაჩერეთ თბილისზე თავდასხმა, როდესაც მოვახერხეთ წარმოშობილი საფრთხეების აღმოფხვრა.**

**მაგრამ ახლა ვითარება კვლავ აქტიურად მწვავდება, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ უკრაინის ფლანგთან ერთად ჩვენს საზღვრებთან დაძაბულობის კიდევ ერთი კერა შეიქმნას. ისევ მიდის საუბარი საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანებაზე. ამ ქვეყანაში რუსოფობიის აფეთქებები დაიწყო.“**

ცხადია, რაც საქართველოში ხდება რუსეთისთვის არაფერია დამალული. ხელისუფლება ცდილობს ვერაგ და საშიში ჩრდილოელ მეზობელთან ფრთხილი, მოზომილი პოლიტიკა აწარმოოს. მით უფრო ახლა, როცა დათვი დაჭრილია და გაცოფებული უარს არაფერზე იტყვის. ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რომ სწორედ მან მოახდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია. განა გვჭირდება განმარტება, რომ ის მტერია და მოძალადე?!

**მიუხედავად ამისა, გაცოფებულ დათვთან მოზომილი პოლიტიკის წარმოება გვმართებს. სამწუხაროდ, 32 წელია ოკეანეს გაღმელი ჩვენი პარტნიორის დახმარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგენის საკითხი ერთ ადგილს ტკეპნის. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გამოკვეთილა დაბრუნების პერსპექტივა. არც ერთი ლტოლვილი არ დაბრუნებია თავის საცხოვრებელს. ადამიანები იმედით ცხოვრობენ. ღმერთმა ნუ ქნას, რასაც მედვედევი ამბობს. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების იდეა ჯერ კიდევ პოპულარულია და სრულიად შესაძლებელი, განხორციელდეს. თუ ამის საფუძვლიანი მიზეზები იარსებებსო“.**

ძალიან საშიში განცხადებაა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი უკრაინასთან ომშია და ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეერთებას ვერ გაბედავსო, ცდება. ცდება იმიტომ, რომ კრემლს არ გაუჭირდება ამგვარი ბრძანების გამოცემა. ისედაც თითქმის მის კლანჭებშია. ჩვენ კი ვერაფერს დავუპირისპირებთ. არ გვაქვს იმდენი ძალა და რესურსი ხელები დავამტვრიოთ მოძალადეს. დარჩა ერთი ფრიად გამოცდილი ხერხი – დიპლომატიური მოთმინება.

**ეს ძნელია, მაგრამ სხვა გამოსავალი პატარა ქვეყანას არ აქვს!**

ოპოზიციური ძალები, მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის და ამერიკის მაამებლობით არიან დაკავებულნი. ბოლოსა და ბოლოს, რადიკალურმა ოპოზიციამ უნდა გაიაზროს, მდგომარეობის სირთულე. ყრანტალი და უშედეგო გამოდევნება რუსეთის ხელისუფლებისადმი არაფერ შედეგს არ მოგვიტანს. კრემლის ძაგების ზომიერება უნდა ვისწავლოთ. მედვედევის განმარტებით „დასავლეთისთვის მოვლენების ასეთი შემობრუნება იქნება მორიგი სამარცხვინო ფიასკო და გავლენის კატასტროფული დაკარგვის კიდევ ერთი სიმბოლო.“

**ევროპისთვის კი არა, ჩვენთვის იქნება კატასტროფა და ფიასკო, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეიერთა. ალბათ სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ ჩვენს ძირძველ მიწა-წყალს. ნუ გვექნება მხოლოდ იმის იმედი, რომ პუტინი ერთ დროს „წავა“ და ავისრულებთ ოცნებას. დავიბრუნებთ წართმეულ ტერიტორიებს.**

**ქვეყნის გაერთიანებაზე უფრო მნიშვნელოვანი ერისთვის არაფერია. ნუ გვექნება ოკიანისგაღმელთა და ევროპელთა პრაქტიკული დახმარების იმედი. მათ საკუთარი ამბიციები და თავსატეხი აქვთ და ამისთვის იბრძვიან.**



**ჩვენი ბრძოლა სამართლიანია. ამიტომ თუ მოვიქცევით ღირსეულად და ცოტნე დადიანის მსგავსად, რომელმაც საშინელი მტერი სასიკეთოდ განაწყო, ან მივბაძავთ დემეტრე თავდადებულს ყველა სახელმწიფოებრივ, ეროვნულ ოცნებას ავისრულებთ!**

**ბორის დავითაია,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე.**



# ვინ არის პრიგოჟინთან ერთად დაღუპული დიმიტრი უტკინი?

**„ვაგნერის“ მეთაურთან, ევგენი პრიგოჟინთან ერთად თვითმფრინავში, რომელიც 23 აგვისტოს ტვერის ოლქში ჩამოვარდა, მისი მარჯვენა ხელი, პროფესიონალი სამხედრო დიმიტრი უტკინიც იყო. სწორედ ის იყო „ვაგნერის“ რეალური სამხედრო მეთაური და სწორედ მისი რადიოსიხშირის სახელი უწოდეს კერძო სამხედრო კომპანიას.**

დაქირავებულთა ოპერაციებში უტკინმა მონაწილეობა 2013 წელს დაიწყო. მანამდე ის რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ფსკოვის ბრიგადის ვიცე-პოლკოვნიკი იყო. რადიოსიხშირე „ვაგნერი“ მან მესამე რაიხის იდეოლოგიისადმი სიმპათიის გამო შეარჩია. (რიხარდ ვაგნერი ადოლფ ჰიტლერის საყვარელი კომპოზიტორი იყო).

თადარიგში გადასვლის შემდეგ უტკინი სხვა ყოფილ ძალოვნებთან ერთად სირიაში წავიდა, სადაც პრეზიდენტ ასადის მხარეს იბრძოდა. მის შენაერთს „სლავური კორპუსი“ ერქვა. 2013 წლის ოქტომბერში უტკინი და მისი კორპუსი კინაღამ ალყაში მოხვდა. შემდეგ ის მოსკოვში დაბრუნდა. „სლავური კორპუსის“ რამდენიმე მონაწილეს რუსეთში 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

შემდეგ უტკინი უკრაინაში გაემგზავრა, – მას უკვე დაქირავებულთა საკუთარი ჯგუფი ჰყავდა. „სლავური კორპუსის “ წარმომადგენლები 2014 წლის გაზაფხულზე ჯერ ყირიმში, შემდეგ კი დონბასში იხილეს. ისინი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ. ამასთანავე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უტკინის რაზმი რამდენიმე საველე მეთაურის მკვლელობასთან არის დაკავშირებული. 2015 წელს უტკინი თავის რაზმთან ერთად კვლავ სირიაში დაბრუნდა.

საჯარო სივრცეში დიმიტრი უტკინი პირველად 2016 წლის 9 დეკემბერს გამოჩნდა. ის კრემლში, საზეიმო მიღებაზე შენიშნეს. უტკინი სიმამაცის ორდენით არის დაჯილდოებული. უკრაინაში უტკინის წინააღმდეგ 2021 წელს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.

**„დებალცევოს ოპერაციის დროს „ვაგნერი“ უშუალოდ ემორჩილებოდა რუსეთის მე-2 კორპუსის მეთაურს“,** – აღნიშნულია უკრაინის გენერალური პროკურატურის ინფორმაციაში.

უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული ძალების სრულმასშტაბიანი აგრესიის შემდეგ უკრაინაში „ვაგნერის“ მეთაური სწორედ დიმიტრი უტკინი იყო. ისიც უკრაინაში იმყოფებოდა.

2023 წლის 24 ივნისს, როდესაც ევგენი პრიგოჟინმა „სამართლიანობის მარში“ მოაწყო და თავისი შენაერთებით მოსკოვისკენ გაემართა, „ვაგნერის“ კოლონის სათავეში კვლავ დიმიტრი უტკინი გახლდათ.

სამხედრო ამბოხების ჩაშლის შემდეგ პრიგოჟინმა და უტკინმა „ვაგნერი“ბელარუსში გადაიყვანეს, სადაც თავის დაქირავებულებს სიტყვით მიმართეს. სწორედ მაშინ განაცხადა პრიგოჟინმა, რომ ბელარუსის ჯარი მსოფლიოში მეორე გახდება, ხოლო სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ის ლუკაშენკოს მხარეს დადგენა. მან, ასევე, განაცხადა, რომ „ვაგნერი“ ბელარუსში დიდხანს არ დარჩება და მისი „ბოევიკები“ აფრიკასა და უკრაინაში დაბრუნდებიან.

**ცნობისთვის, ევგენი პრიგოჟინის კერძო ბიზნეს ჯეტი 23 აგვისტოს საღამოს ტვერის ოლქში ჩამოვარდა. რუსი დამოუკიდებელი ექსპერტები თვითმფრინავის ჩამოვარდნის ორ ძირითად ვერსიას ასახელებენ – პირველი ვერსიით, თვითმფრინავი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა ჩამოაგდო, ხოლო მეორე – თვითმფრინავის ბორტზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა. თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობის ვერსია ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა.**



# აფხაზეთი რუსეთთან მიერთებაზე უარს ამბობს!



**აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობას არ განიხილავს, –** ამის შესახებ რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ განაცხადა.

**„ჩვენთან არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შესვლას გვთავაზობს. ჩვენი პოლიტიკური ძალები მხარს უჭერენ რუსეთთან ახლო სამოკავშირეო ურთიერთობებს, მაგრამ არა რუსეთის სუბიექტად ქცევას“,** – განაცხადა შამბამ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის – ექს-პრეზიდენტ და ექს-პრემიერ დიმიტრი მედვედევის ამასწინანდელი სკანდალური გამონათქვამების საპასუხოდ.

მისივე ინფორმაციით, უახლოეს ხანებში მედვედევს დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია შეხვდება, რომელიც სამკურნალოდ რუსეთში იმყოფება.

მედვედევის მუქარას მოსკოვისთვის „არასასურველი პროცესების განვითარების შემთხვევაში“ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონების მიერთების შესახებ 23 აგვისტოს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებაც გამოეხმაურა და მას „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პოლიტიკის გარძელება და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მორიგი მცდელობა“ უწოდა.

**„მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს და შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება. საქართველო განუხრელად მიჰყვება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, ამ გზით საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის, ომის შედეგად დაშორიშორებულ მოსახლეობებს შორის შერიგების და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის პოლიტიკას“** – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

მედვედევის განცხადებას საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძეც გამოეხმაურა. მედიასთან კომენტარში მან აღნიშნა, რომ ეს „კატეგორიულად მიუღებელი განცხადებაა“, რომ „საქართველო ვერასდროს, ვერც ერთ შემთხვევაში შეურიგდება ტერიტორიების ოკუპაციას“ და „ურყევად გააგრძელებს ბრძოლას დეოკუპაციისთვის“.

მედვედევის გამონათქვამებს კომენტარები მოჰყვა თავად რუსეთშიც. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, დსთ-ის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კონსტანტინ ზატულინმა განაცხადა, რომ **„ამ რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციასთან მიერთებით შესაძლოა, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობები გაფუჭდეს, საქართველოში კი რადიკალებს გაუმყარდეთ აზრი, რომ მოსკოვი აგრესორია“...**

# რა უთქვამს, რა მოუჩმახავს!..

როგორც მოსალოდნელი იყო, დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე დიდი სტალინოლოგი ანუ დაუმარცხებელი სტალინელი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ბელადზე ერთობ პოპულარული წიგნების შემქმნელი, კოლორიტული პიროვნება და ქვემო სვანეთის ნამდვილი მახვში გრიგოლ ონიანი ოპერატიულად გამოეხმაურა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 24 აგვისტოს დაბეჭდილ წერილს „რატომ ცდილობს ვლადიმერ პუტინი იოსებ სტალინის რეაბილიტაციას“?! და ერთობ თავაზიანად „გადაუარა“ მის ავტორს, ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ბატონ გიორგი ლაბაძეს.

ვიმედოვნებთ, რომ დოქტორანტი ამერიკისმცოდნე აუცილებლად უპასუხებს ბატონ გრ. ონიანს.

„ს. რ.“ რედაქცია




# „სტალინი ქართული ეროვნულობის პირდაპირი მტერი იყო, რის გააზრებაც ქართველ საზოგადოებას ჰაერივით სჭირდება“?!

## პასუხად გიორგი ლაბაძეს

**ბატონო გიორგი, თქვენ რადგანაც ამერიკათმცოდნეობაზე მუშაობთ, ბევრი დრო არ დაგრჩებოდათ სტალინის ფენომენის შესასწავლად, ამიტომ ურიგო არ იქნება თქვენს ამერიკათმცოდნეობას სტალინისმცოდნეობაც რომ მიუმატოთ.**

კრემლში, საზღვარგარეთის დელეგაციასთან შეხვედრისას, სტალინმა ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს აღნიშნა, რომ: „ყველაზე დიდი პოპულარობით საბჭოთა კავშირში რუზველტი სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ქვეყნის მეთაურია“.

**მოდით, ერთად ვნახოთ, თუ რას ფიქრობდნენ და ამბობდნენ თავად ამერიკელი პოლიტიკოსები სტალინზე:**

**ფრანკლინ დელანო რუზველტი,** აშშ-ის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში:

„მასთან მუშობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება... მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად, სურვილი მაქვს, შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს – სტალინს, ეს აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს“.

**ჰენრი კისინჯერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში:**

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით.

მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ საფრანგეთი XVII საუკუნეში“.

**კორდელ ჰალი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933-1945 წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის რუზველტსა და ჩერჩილთან ერთად, ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

**ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-1946 წლებში:**

„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდნენ, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს – მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო“.

**ჯორჯ ფროსტ კენანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1952 წელს:**

„...პრინციპული და უყოყმანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

**ჰენრი არნოლდი, ამერიკელი გენერალი:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, მათი შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი“...

**ალექს დე ჯონგი, ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი:**

„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, უკვე არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალური პიროვნებაა კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მოახერხა, თავის მოკავშირეებად ექცია ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგებიც. ყველა დიდ შეცდომას უშვებს მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაეცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი შეძლო აეძულებინა როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლო მის მიერ დასახული გზით. ამდენად, სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა“.

...პრეზიდენტმა რუზველტმა საბჭოთა კავშირის ახალდანიშნულ ელჩს ამერიკაში, მიხეილ ლიტვინოვს, 1942 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობისთვის გადასაცემად განუცხადა, რომ მზად იყო ამერიკის ჯარის ნაწილების გასაგზავნად კავკასიაში, აგრეთვე, მურმანსკში, რათა გამოეთავისუფლებინა საბჭოთა ჯარისკაცები და ჩაბმულიყვნენ ფაშისტებთან ბრძოლაში, აგრეთვე, ჯარი განეთავსებინა ნორვეგიისა და ფინეთის ტერიტორიაზე.

სტალინმა წერილით უპასუხა ლიტვინოვს, გადაეცა ამერიკის პრეზიდენტისთვის, რომ მას დახმარება არ სჭირდება იქ, სადაც საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, მაგრამ მზად არის, მიიღოს ამერიკის ჯარის ნაწილები იქ, სადაც წითელი არმიის ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოლებენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

საბჭოთა ლიდერი არა მხოლოდ ხვდებოდა დასავლეთის ხრიკებს, არამედ მათ ბოროტ განზრახვას ძირშივე ანადგურებდა.

1942 წელს ჰიტლერმა დაიწყო გერმანიის სამხედრო მანქანის მობილიზება, რათა გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა კავშირისთვის. 1942 წლის 31 იანვარს საბჭოთა ელჩი ლიტვინოვი ამერიკიდან ატყობინებდა მოსკოვს, რომ განუსაზღვრელია ის შესაძლებლობები, რომლებიც ჰიტლერს აქვს შეტევის განსახორციელებლად საბჭოთა კავშირზე, და, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ხომ არ სთხოვოს პრეზიდენტ რუზველტს, კიდევ ერთხელ განიხილოს მეორე ფრონტის გახსნის საკითხი.

იმავე წლის 4 თებერვალს ლიტვინოვმა მოსკოვიდან დაშიფრული ტელეგრამა მიიღო:

„მივესალმებით ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას მოკავშირეების მიერ, მაგრამ თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენ სამჯერ მივიღეთ უარი მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნაზე, ამიტომ არ დააყენოთ პრეზიდენტ რუზველტის წინაშე საკითხი მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე; დაველოდოთ მომენტს, როდესაც მოკავშირეები თვითონ მოიფიქრებენ და გადაწყვეტენ მეორე ფრონტის გახსნას. არ გვინდა, მეოთხედაც მოტყუებული დავრჩეთ“.

რუზველტის „კეთილგანწყობას“ მოკავშირის მიმართ დაუფარავად გადმოგვცემს თვით პრეზიდენტის შვილი ელიოტ რუზველტი, რომელიც პირადად იცნობდა სტალინს და მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჟურნალისტმა, ინტერვიუც კი ჩამოართვა საბჭოეთის ბელადს.

ელიოტ რუზველტი წერს:

„იცოდე შენთვის, მიხსნიდა მამა, ეს ომი საფეხბურთო მატჩია, ჩვენ კი, როგორც იტყვიან, სკამზე ჩამომსხდარი სათადარიგო მოთამაშეები. დღეს ძირითადი მოთამაშეები არიან რუსები, ჩინელები და, უმნიშვნელო ხარისხით, ინგლისელები. ჩვენ გვევალება, თამაშში ჩავერთოთ მაშინ, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგება. ვფიქრობ, რომ დრო უნდა შევარჩიოთ სწორად“...

* * *

**ასე რომ, ბატონო გიორგი, ყოველივე ზემოთ მოყვანილი საიმისოდ დამჭირდა, რომ ცოტა აზრი შეგეცვალოს სტალინის რეაბილიტაციაზე, რომელსაც არაფერი სარეაბილიტაციო არ აქვს და თუ პუტინი ცდილობს სტალინის რეაბილიტაციას, ეს აბსოლუტური შეუსაბამობაა სინამდვილესთან. თუ პუტინს ამ სურვილის აღსრულება სჭირდება, მაშინ რუსეთის დუმამ დეზავუირება უნდა გაუკეთოს სკკპ-ის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს და აქედან გამომდინარე ქვეყანა დაუბრუნოს თავის სტრატეგიულ მიმართულებას.**

...თუ თქვენ სტალინის ქართველობაში ეჭვი გეპარებათ, თქვენ არა ხალხების ისტორიით, არამედ ამერიკული სულით და ფულით ხართ დასნებოვნებული. იქნებ იმაშიც ეჭვი გეპარებათ, რომ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია სექსუალური რევოლუციის მომხიბვლელი იდეების საფუძველზე მოხდა, სადაც ქვეყნის მშენებლობის საფუძველშივე ჩაიდო ტროცკისა და ლენინის მიერ მათივე ასაშენებელი ქვეყნის დაშლის იდეა, რომელსაც ტურუხანსკიდან მოყოლებული სმოლნის კაბინეტებამდე თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა სტალინი, რომელმაც თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადებითაც კი მიმართა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. და მხოლოდ ლენინის გარდაცვალების, ტროცკის ქვეყნიდან გაძევების და ნაძირალა ტროცკისტ-მენშენშევიკებზე გამარჯვების შემდეგ, 1929 წელს ეწოდა დიადი გარდატეხის წელი და ქვეყანაში დაიწყო აღმშენებლობის პერიოდი.

თქვენ მიერ შეგნებულად დაწერილ, შეუიარაღებელი თვალით თითქოს ნორმალურ სტატიას, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ წავიკითხე დანაღმულ ველს შევადარებდი, რომელზე გავლაც ისეთივე სახიფათოა, როგორც თქვენი საყვარელი სახელმწიფოს აშშ-ის სუპერტანკების გავლა დონეცკის დანაღმულ ხოდაბუნებში.

და რაც მთავარია:

სად ამოიკითხეთ და ვინ გითხრათ, რომ: „სტალინი ქართული ეროვნულობის პირდაპირი მტერი იყო, რისი გააზრებაც ქართულ საზოგადოებას დღეს ჰაერივით სჭირდება“.

რისი გააზრება?! ყველა ქართველი რომ ეროვნულობის პირდაპირი მტერი იყოს?! თუ ვიცოდეთ, ვის ვაქებთ, ვისაც ასე სძულდა ქართველი ერი და ქართველი ხალხი?!

ბატონო დოქტორანტო, ნუთუ ასეთი აზროვნებისა და ასეთი ცნობიერება-მენტალიტეტის მქონე პიროვნება უნდა ასწავლიდეს და ესაუბრებოდეს ახალგაზრდობას?!

გთხოვთ, განუმარტოთ საზოგადოებას, თუ რას გულისხმობთ საკუთარ ნათქვამში.

წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა უფრო მკაცრ ზომებს მივმართავ, როგორც საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე, რომელსაც საზოგადოების წესდებითაც მევალება სტალინის სახელისა და ღირსების დაცვა.

როგორ არ გრცხვენიათ, თუნდაც შენი ქალაქის – ჭიათურის პატრონს, სტალინზე თქვა ქართული ეროვნულობის აშკარა მტერი იყოო, როდესაც სწორედ სტალინის მიერ იყო შერჩეული ჭიათურის მშენებლობის არქიტექტორი აკადემიკოსი პეტრე ჩხეიძე, რომელმაც შექმნა ჭიათურის განუმეორებელი განაშენიანების ლანდშაფტი.

ასევე ქალაქ ტყიბულისა და წყალტუბოს სტალინური სასახლეების მთელი ანსამბლი. გაიარეთ და ნახეთ სტალინური რუსთავის მთავარი ქუჩა თავისი სახელგანთქმული მეტალურგიული ქარხნის დიდებული კომპლექსით.

რა გითხრა, რომ გითხრა?! არც დამიჯერებ! იმ ეპოქაში კი ვერ დაგაბრუნებ.

როგორც ჩანს, შენ იმდენი ამერიკული სული გაქვს „ნაყლაპი“, რომ მისგან ვერ განთავისუფლდები, სანამ ფიზიკურად ეს სული ჯოჯოხეთისკენ არ გაიკვლევს გზას...



**გრიგოლ ონიანი**



„თუკი შენს სიცოცხლეს სიმღერად აქცევ, მაშინ შენც უფრო ახლოს იქნები სიმართლესთან, სიცოცხლესთან“.

წმინდა ნიკოლოზ სერბი

# სიმართლე, სიცოცხლე, სიმღერა...

**80-წლიანი „სიმღერის“ ზეიმს გილოცავთ, ბატონო გურამ!**

სამყარო მთლიანია, აქ მოვლინებული ადამიანის გზაც მთლიანობის ერთგულებაა. ეს მთლიანობა არის: მე და ჩვენ, ოჯახი, მოყვასი, სამეზობლო და ქვეყანა. ასე ცხოვრებას გულის კულტურა განაგებს, მხოლოდ გონება – ვერა.

ბატონო გურამ, თქვენ ამ მთლიანი ცხოვრების მისიით მოხვედით. სიმბოლურ-მისტიკური გამოხატულებაც რომ ჰქონდა ამას: ბაბუამ ხარის ტყავში გაგახვიათ ჩვილი, რამდენიმე წუთით, დაგლოცათ, დაგანათლათ ხარის ერთგულება და ძალმოსილება. უკვე ცხოვრების გზაზე გასულს, ბებიამ სიკვდილის წინ კაჟის ქვა გისახსოვრათ: სიმტკიცე და ურყეობა დაგილოცათ სავალ გზაზე... და თქვენ ამ ათეული წლების განმავლობაში არც ერთ თვისებას არ დაუღალატებიხართ!

მოდიხართ, მოატარებთ უტეხად და ერთგულად. არც სახელდება ყოფილა შემთხვევითი: ვაჟიანობით გახარებულ ფუძეზე გადაწყვეტილა: ეს ბიჭი გურ-ამი ( გულიანი), ჩონჩხიანი (ჯიგრიანი-ჯიგარი) იქნება, გენის საამაყო ვაჟკაცი და გურამი დავარქვათო...

არ შეიძლება ეს იყოს შემთხვევითი არჩევანი, ამას სახელის ეტიმოლოგია და მთელი თქვენი გავლილი გზა ადასტურებს.

ნდობა და სიყვარული საუკეთესო მეგზურია ჩამოყალიბების პროცესში: მამამ არც ეს დაგაკლოთ და 12-15 წლის ყმაწვილმა ამიტომაც გაიცანით მთელი სისავსით მთა, ბუნება, ნადირობის ალღო, მწყემსთა სამყარო, მთის იდუმალებაში ხიფათის დაძლევის გემო.

„წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს სუფთა წარსული და შეულახავი გენი. მათი წარმატებით მდიდარია და დადებითად დამუხტული ჩემი წინაპრების ენერგოინფორმაციული ველი“, – თქვენ ხართ ამ სიტყვების ავტორი და რამდენად ბედნიერნი არიან თქვენი წინაპრები სულეთში, რომ თქვენ ბურჯად უდგახართ ამ ჯანსაღ ფესვებს: „ნერგნი კეთილნი“ – მომავალი ამ გენისა გოჩა და გურამ უმცროსი ამავე სიმტკიცით აგრძელებენ მთლიანობის გზას.

თქვენი სამყაროს, თქვენი თაობის ადამიანებმა ბევრი თქვეს თქვენზე, გულისმიერი სიწრფელით გემადლიერებიან ბავშვობის თანაზიარი, ერთი სულიერი სივრცის ადამიანები.

მე მაშინ გაგიცანით, როცა უხვად გქონდათ სამკალი მომკული ცხოვრების გზაზე: როცა უშურველად იხარჯებოდით, მადლით წარმართავდით საქმეებს ჯიშის, გენის, ნიჭის, ღირსების, წიგნიერების საქომაგოს, როცა გოჩა დადგა ასპარეზზე უანგარო ღვაწლით, დაუოკებელი ენერგიით ქველმოქმედებისთვის, ჯანსაღი ცნობიერების განმტკიცებისთვის: როცა ფიფიების საგვარეულო შეხვედრები საოცარი ორგანიზებითა და სიყვარულით რეალიზდებოდა, როცა ფიფიების გერბი პირველად ვიხილე, როცა თქვენს ფუძეზე, რცხილნარში ლიტერატურის ზეიმი შედგა, გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრით, როცა გოჩას ყველა თაოსნობას ურყევად ედექით გვერდით...

მე ჩემი წილი გურამ ფიფია გავიცანი. შინაგანი არისტოკრატიზმით, სიტყვის მადლის განცდით, გვარ-ჯიშის წარსულისა და აწმყოსთვის უპირობო სიყვარულითა და ზრუნვით გამორჩეული, საინტერესო წარსულით, ნიჭისა და ერთგულების მთელი არსებით შემცნობი და დამფასებელი.

მადლობა, გვეამაყებით, გვეიმედებით ჩვენს გვარს გურამი-გოჩა-გურამ (უმცროსი). თქვენს გავლილ გზაზე დგას ეს რეალობა. გენში კოდირებულ მადლს შეენივთა თქვენი კაცთმოყვარეობა, ღირსეული მადლიერების გრძნობა და მას გამყარებულს, ძალამოკრებილს ხედავთ მომავლის შტოში!

მრავალჟამიერ, ჩემო გამორჩეულო ფიფიებო! იმზეგრძელეთ! დიდხანს გვეგულებოდეთ, დიდხანს გვიხაროდეთ!

**ქრისტესმიერი სიყვარულით,**

**ნესტან ფიფია,**

**ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**

**2023 წ. აგვისტო**

# ღირსების მაგალითი

**არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება ყოველგვარი ხმაურისა და ზარზეიმის გარეშე მიმდინარეობს, მაგრამ მათი საქმიანობა, ყოველდღიური საფიქრალი, ქვეყნისა და საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვასთანაა დაკავშირებული. ამ ადამიანთა ცხოვრება თითქოს შეუმჩნეველი რჩება გარკვეული პერიოდი, მაგრამ დგება ჟამი და უსათუოდ მჟღავნდება ის სასიკეთო საქმეები, რომლებიც ქვეყანას წაადგა. ასეთი პატრიოტული და სასიკეთო საქმეთა შემქმნელი ადამიანების ცხოვრებას ყოველთვის თან სდევს გარკვეული ბრძოლის პროცესი ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად და არა პირადი კეთილდღეობისთვის.**

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება პიროვნება, რომელიც თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით, წესიერებით, პატიოსნებით, ერთგულებით მჭიდროდ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. ეს გახლავთ ბ-ნი გურამ ფიფია – კაცი, რომლის მოღვაწეობა სამაგალითო უნდა იყოს ჩვენი მომავალი თაობისთვის, რომელმაც ჯეროვნად უნდა დააფასოს მისი ღირსეული ცხოვრება. მე პირადად ვიტყვი: ასეთი პატრიოტი, ქვეყნის ერთგული, თავდადებული პიროვნება იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში. ეს შეიძლება ბევრისთვის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ მსგავსი ღირსების ადამიანები დღეს ისე სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ხალხს, როგორც არასდროს. მხოლოდ ასეთი პიროვნებები თუ გადაარჩენენ საქართველოს და ღირსეულ მომავალს შეუქმნიან ახალგაზრდებს...

იმასაც მოგახსენებთ, რომ გურამ ფიფია იმდენად პოპულარული და სათაყვანებელი იყო ჩვენს საზოგადოებაში, რომ ახალგაზრდობიდან ვიყავი მისადმი განსაკუთრებული პატივისცემით და მოკრძალებით განწყობილი. გურამთან ურთიერთობა დაიწყო ადრეულ პერიოდში ზუგდიდიდან, სადაც მე ხშირად ვსტუმრობდი ჩემი ბიძის – დავით ჯიჭონაიას ოჯახს. იქ ვხვდებოდი ბევრ ზუგდიდელ ღირსეულ ქართველს, მაგალითად ბონდო ჩიქოვანს, ცნობილ ნეიროქირურგს ( რომელიც ნათესავად მეკუთვნოდა), სახელოვან ეგნატე ფიფიას, რომლის დაბადებიდან 70 წლის იუბილე გორის რაიონის ატენის ხეობაშიც სახალხოდ აღვნიშნეთ.

დიდი სიმპათიით და პატივისცემით ვიყავი ყოველთვის განწყობილი გურამ ფიფიას ოჯახისადმი, რომელთა მასპინძლობა განსაკუთრებით აღნიშვნას საჭიროებს. ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი გახლავთ გურამის მეუღლე, ქ-ნი ნანი. მათ შექმნეს დიდებული ოჯახი. სამშობლოს გაუზარდეს შესანიშნავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

ჩვენი ოჯახისთვის უმძიმეს პერიოდში, როდესაც ზოგი დაიბნა და არ იცოდნენ, როგორ გაეგრძელებინათ ჩვენთან ურთიერთობა, ეს ოჯახი მუდამ გვერდში გვედგა, იზიარებდა ჩვენს მძიმე ხვედრს. უდიდესი მადლობა მათ ამ თანადგომისთვის!

გურამ ფიფია – სახელმწიფო მოღვაწე – თავისი საქმიანობით, კომპეტენტურობით, წესიერებით ყოველთვის გამოირჩეოდა და საუკეთესო მაგალითს იძლეოდა

ჩვენ ერთად ვიმუშავეთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის. როგორ გამოგვივიდა, მომავალი განსაზღვრავს, მაგრამ ის რომ გურამმა შექმნა პროექტი ცოტნე დადიანის უკვდავყოფის ძეგლისა, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. იმედია, ეს პროცესი მომავალში განხორციელდება გურამ ფიფიასა და მისი სამეგობროს მიერ.

ჩემო გურამ! რა დრო გასულა!

**ჯუმბერ პატიაშვილი,**

**2023წ. აგვისტო**

# დიდი ოჯახის ბერმუხა...

**წუთისოფელთან ბრძოლის ჟინი, სიცოცხლის ხალისი ჩვენს სულსა და გულში კაცობის დიდ, თვალშეუდგამ ნათელს ამკვიდრებს და ერთმნიშვნელოვნად გვარწმუნებს, რომ ყველაფერი მართლაც ამაოებათა ამაოებაა, თუ არ დარგე ხე, არ ააშენე სახლი და არ გაზარდე შვილი!**

ამ სამი მიზნის აღსრულებაში უფალიც თუ ხელს შეგაშველებს, 80 წლის ასაკშიც თამამად შეგიძლია თქვა: ამ ერთი ციდა მიწის ნაგლეჯზე, საქართველო რომ ჰქვია, ისე კარგად მოვივარგე ჩემი წილი წუთისოფელი, იმდენი სიკეთის ხე დავრგე, ისეთი ფუძეძლიერი სახლი ავაშენე და იმდენი შვილი, შვილიშვილი და შვილთაშვილი გავზარდე, რომ... გმადლობ, უფალო, აქამომდე რომ მაცოცხლე, ამდენი გამაძლებინე და... ყოველ დილით მკერდში ისევ სიყვარულის მზე ამომიბრწყინე!

დიახ, დიახ, ჩემო გურამ, ვიდრე მეც, შენი უმცროსი მეგობარი, ცოცხალი ვარ, ამაზე დამაჯერებლად ვერ ვიტყვი და მესამეჯერ გავიმეორებ: დღესაც, 80 წლის გურამ ფიფიას ხმას რომ გავიგონებ, მკერდში თითქოს მზე ამომდის, რომ სული არ დაბერდეს, რომ ისევ გავჭაბუკდე და სვანეთში აგყვე უშბის და შხარას სანახავად... იქნებ ლილეოც გვიმღერონ შენმა ფიცვერცხლნაჭამმა ფილფანებმა, ჩართოლანებმა და ჯაფარიძეებმა, ლილეო ხომ მზის საგალობელია, აი იმ მზისა, მე და შენ მკერდში რომ გვიდგას და ძირძველ ქართულ გენს გვილამაზებს...

ეს გენი გოჩა და მაკა ფიფიების გაჩენით, აღზრდითა და მათი უფლისმიერი შემდგომი ბედიღბლით, არა ოდენ სამეგრელოს, არამედ მთელ საქართველოსაც ამშვენებს...

შენი შვილიშვილები და შვილთაშვილები ხომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის იმედია!

ხმალი ქარქაშში არ ჩააგო, დიდი ოჯახის საამაყო ბერმუხავ, რაინდულად ეთაყვანე შენს მთავარ მონაპოვარს, სუპერ-ბებოს ნანი ჭანტურიას და 90 წლის იუბილეზეც აალაპარაკე ჩვენი მზიანი გულები.

**სპარტაკ ქოზულია,**

**2023წ. აგვისტო**

# ქვითა და კირით ადუღაბებს ძმობის ბალავარს!

## გურამ ფიფიას

ენგურის მორევს მოაქვს წერილი,
კაცს, მართალს, „მოორევს“
სტუმრად იწვევენ „შიშა და გერგილი“
უხილავი რამ სასწაული მაფი გაბმულა,
უერთმანეთოდ ვერ გაუძლია ორ ბუმბერაზ გვარს,
მითს, თუ ლეგენდას რეალობა თან სდევს დასტურად,
ძმობას, ერთობას და ერთგულებას ვერ ნახავთ ამგვარს.
დილას თან ახლავს სურნელება მთის ყვავილების,
ხარობს „ჯგ'რაგი, თარ'ნგზელი და „ლამარია“,
ფესვებს ისწორებს ბებერი მუხა მაღალი მთების,
ფიფიების და ფილფანების მეგობრობით გაუხარია.

დიდ მოამაგეს, კუთხისა და ქვეყნის ამაყ შვილს,
„ჯგ'რაგის ხატი ხელთ უპყრია სტუმრად მომავალს,
მიმოაფინა მადლი ქედებს თვალწინ გადაშლილს
და ღვთის კურთხევით, სიხარულით ნათლავს მომავალს.
ქვითა და კირით ადუღაბებს ძმობის ბალავარს,
წინაპრებისას ყანწს გამოცლის, დასძახებს ლილეს,
გულის ხვაშიადს უზიარებს უშბას და შხარას,
ლოცავს ხეობის უღალატო, გულხვიად შვილებს.
მერე სვანურ ქუდს დაახურავს ოჯახის მახვში,
უცვლელ სიმბოლოს, ღირსების და სინდის-ნამუსის.
ბევრი სათქმელით საამბობით ბრუნდება სახლში,
ღირსი მფლობელი, საამაყო სვანური ქუდის...

**რამაზ ფილფანი,** მესტია-ზუგდიდი



გფარავდეთ ღმერთი!

# ბაზარზე უფრო მეტი მანქანაა, ვიდრე მყიდველი...

## მაგრამ დილერებიც არ ჩქარობენ იაფად გაყიდვას

**მათთვის, ვინც მანქანის ყიდვას აპირებს, კარგი სიახლეა: მეორადი მანქანები უნდა გაიაფდეს, – და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. აი, ავტომობილების იმპორტიორები კი ცუდ დღეში არიან.**



რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა სანქციებმა აკრძალა აშშ-დან საქართველოში შემოყვანილი ან ამერიკული საავტომობილო კომპანიების წარმოებული ავტომობილების რეექსპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი რუსეთსა და ბელარუსში. ევროკავშირის დაწესებული სანქციების მე-11 პაკეტის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო 26 სექტემბრიდან ზღუდავს ევროკავშირიდან შემოყვანილი მანქანების რეექსპორტს რუსეთში.

**„ვინმე რამეს ყიდით ბაზარზე? რასაც ვუყურებ, ეს ნაწვალები მანქანები თავის ფასშიც აღარ იყიდება“,** – წერს ერთ-ერთი იმპორტიორი ფეისბუკზე ყიდვა-გაყიდვის ჯგუფში.

**„2019-წლიანი BMW 1600 დოლარით ნაკლებად გავყიდე. ახლა 2021-წლიანი თესლა მყავს და უკვე 5420 დოლარით ნაკლები მიდევს იმაზე, რაც დამიჯდა“,** – უპასუხებს მეორე.

**„ახლახან სონატაზე მითხრეს, 9500 დოლარად წავიყვანთოო, როცა იმავენაირში 10800 დოლარს მთავაზობდნენ ორი თვის წინ... კი, გაიაფდა, მაგრამ 7300 დოლარი დამიჯდა (ჩამოყვანა) და 9500-ში სიამოვნებით გავატან“, – წერს მესამე.**

**ასეთ დღეში ბევრი „ავტოდილერია“.**

### „მანქანები არ ეყიდებათ“

**საქართველოს საავტომობილო ბაზარზე ახლა ბევრი მანქანაა ჩამოყვანილი.**

საქსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ **2023 წლის 7 თვეში 1.6 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების მანქანები ჩამოიყვანეს, – წინა წლის მაჩვენებელზე, 826 000 დოლარზე 96%-ით მეტი. ანუ თითქმის გაორმაგებული ღირებულებისა.**

ეს იმპორტის ღირებულების ისტორიული მაქსიმუმია. ზრდა ყოველდღიურობაშიც ჩანს: ქვეყნის ყველაზე დიდი, რუსთავის ავტობაზრობა მანქანებით გადაჭედილია. მყიდველები კი ბევრნი არ არიან.

ჩანს ბაზარზე დაკვირვებით და ავტოიმპორტიორთა ასოციაციაშიც ადასტურებენ, რომ: როდესაც 2022 წელს მოთხოვნა გაიზარდა, გაიზარდა მიწოდებაც.

**„2022 წლის მომატებულმა გაყიდვებმა გააჩინა მოლოდინი, რომ ბაზარი, პანდემიის ჩავარდნის შემდეგ, გამოცოცხლების გზას დაადგა. და ამის ფონზე, მოთხოვნაზე მეტად მიწოდება გაიზარდა“,** – ეუბნება რადიო თავისუფლებას **ალექსანდრე ნონიაძე,** „საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის“ წარმომადგენელი.

### რატომ მოხდა ასე?

**ნონიაძის თქმით, მოთხოვნის შემცირებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი.**

1. რუსეთის წინააღმდეგ **ამერიკის შეერთებული შტატების** ახალმა **სანქციებმა** აკრძალა აშშ-დან საქართველოში შემოყვანილი ან ამერიკული საავტომობილო კომპანიების წარმოებული ავტომობილების რეექსპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი რუსეთსა და ბელარუსში.

**7 თვეში საქართველოს სრული იმპორტის – $1.6 მლრდ-ის – 56% მოდიოდა აშშ-ზე. ანუ საქართველოში შემოყვანილი ყოველი მეორე მანქანა ამერიკიდან შემოდიოდა.**

**მართალია, საქართველოს სრული ექსპორტის ($1.2 მლრდ) მხოლოდ 6% მოდიოდა უშუალოდ რუსეთზე, მაგრამ მანქანები გადიოდა იმ ბაზრებზე, რომლებიც ინტენსიურად და უფრო მარტივად ვაჭრობენ რუსეთთან ავტომობილებით – სომხეთში, ყაზახეთსა თუ ყირგიზეთში.**

**2. საგადასახადო კოდექსის ადმინისტრირება გამკაცრდა, – რაც, ნონიაძის თქმით, იმაში გამოიხატება, რომ გზაში ავტომობილის მფლობელის შეცვლა შეუძლებელი გახდა.**

**3. აზერბაიჯანის მთავრობას პანდემიის შემდეგ ჩაკეტილი აქვს სახმელეთო საზღვრები. მანქანები იქ კვლავ იყიდება – ექსპორტზე გადის,** – მაგრამ, ნონიაძის განმარტებით, მხოლოდ გადამზიდავი კომპანიების მეშვეობით. ფიზიკურ პირებს კი დამოუკიდებლად ჩამოსვლა და ავტომობილის გაყვანა არ შეუძლიათ.

**„როდესაც აზერბაიჯანელი ავტოიმპორტიორი ჩამოდიოდა, მარტო მანქანას კი არ ყიდულობდა, სხვა მხრივაც ქმნიდა მოთხოვნას ადგილობრივ ბაზარზე, – სასტუმროში ჩერდებოდა, ყოველდღიური მოხმარების საგნებს ყიდულობდა, ზოგჯერ ბათუმში ისვენებდნენ კიდეც,** – ამბობს იგი, – **ახლა ამას ვეღარ ახერხებენ“.**

ამასთან, წელს გაზაფხულიდან აზერბაიჯანმა 10 წელზე მეტი ხნის მანქანების იმპორტი აკრძალა, – თუმცა ამაზე ძველი მანქანების იმპორტს, სავარაუდოოდ, სტატისტიკაში დაბალი მაჩვენებელი ექნებოდა.

**4. „ახლა ტრანსპორტირების დროც და ხარჯიც გაზრდილია, მათ შორის, აშშ-დან ავტომობილების ჩამოყვანისაც. და შიგადაშიგ ლოჯისტიკაშიც პრობლემებია, ბათუმის და ფოთის პორტებში, გაზრდილი ტვირთბრუნვის გამო შეფერხებებია“,** – ამბობს ნონიაძე.

ნონიაძის თქმით, ეს გარემოებები ბაზარზე უარყოფით მოლოდინებს ქმნის.

მიზეზებს, სავარაუდოდ, დაემატება, შეერთებული შტატების შემდეგ, ევროკავშირის სანქციების ძალაში შესვლა.

ევროკავშირის დაწესებული **სანქციების** მე-11 პაკეტის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო 26 სექტემბრიდან ზღუდავს ევროკავშირიდან შემოყვანილი მანქანების რეექსპორტს რუსეთში.

სტატისტიკა ასევე აჩვენებს, რომ 2023 წლის პიკი მარტში იყო. ივლისში, მარტთან შედარებით, 37%-ით ნაკლები ღირებულების ავტომობილი შემოიყვანეს.

ეს რიცხვი აგვისტოდან, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტად შემცირებული იქნება. აგვისტოს სტატისტიკა სექტემბერში გახდება ცნობილი.

**„მყიდველის გადმოსახედიდან, მანქანა რომ გამოიწეროთ, ახლა ეგ უფრო ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე აქვე ბაზარზე ყიდვა. აქ უფრო იაფი დაგიჯდებათ. იმიტომ, რომ იმპორტიორი ვერ ყიდის და უწევს, თვითღირებულებაში გაყიდოს, ან მოგების მინიმალური მარჟით“,** – გვეუბნება **ალექსანდრე ნონიაძე.**

ამასობაში იმპორტიორებს კიდევ ერთი პრობლემა გაუჩნდათ – ამბობენ, რომ რუსთავში სადგომის ფასებს ვეღარ იხდიან. „ვერ ახერხებენ, გაისტუმრონ ავტობაზრობის გადასახადები და ვალი“.

**აგვისტოს დასაწყისში რუსთავის ავტობაზრობაზე მყოფმა იმპორტიორებმა აქცია გამართეს და ავტობაზრობის – „ავტოპაპას“ – ადმინისტრაციას ტარიფების შემსუბუქება მოსთხოვეს. „ადმინისტრაცია კვლავ არ მოდის დათმობებზე“,** – ამბობს ასოციაციის ხელმძღვანელი.

**ლუკა პერტაია**

# რა მექანიზმებით აზღვევენ მოსახლეობას წამლების დეფიციტისგან?!



**ჯანდაცვის სამინისტროში რეფერენტული ფასების დაწესების გამო წამლებზე დეფიციტს გამორიცხავენ და იმ მექანიზმებზე საუბრობენ, რომელთა საშუალებითაც ამ რისკების თავიდან აცილებაა შესაძლებელი.**

შეგახსენებთ, რომ 2 აგვისტოს ფარმაცევტული კომპანიების ასოციაციამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, არასწორი რეგულირების სისტემის გამო, რეფერენტული ფასის დადგენის შემდეგ, ვერ ხორციელდება ეპილეფსიის საწინააღმდეგო სხვადასხვა მედიკამენტის იმპორტი. მათივე თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული რეფერენტული ფასწარმოქმნის მოდელში არ არის გათვალისწინებული ის გამოწვევები და რისკები, რაც ქართულ ბაზარზეა შექმნილი.

**„ფასების ამ არასწორმა გამოთვლამ განაპირობა სწორედ ის დეფიციტი, რაც ბაზარზე უკვე არის. მედიკამენტების დეფიციტური სია მომავალში გაიზრდება იმავე მარტივი მიზეზით, რაც არის არასწორად დასმული რეფერენტული ფასი. უბრალოდ ეს მედიკამენტები ვერ იქნება ფიზიკურად მოწოდებული ჩვენი ბაზრისთვის“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ჯანდაცვის სამინისტროში ბრალდებებს უარყოფენ და ამბობენ, რომ მათ კომუნიკაცია აქვთ სექტორთან და გადაწყვეტილებებსაც წინასწარ აცნობენ.

სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი ლელა სულაბერიძე კი იმ მექანიზმზე საუბრობს, რომელიც ბაზარზე წამლების დეფიციტის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

**„კომპანიები იწერებიან სავარაუდო დეფიციტის შესახებ. თუკი ფასების გადახედვა კომპანიებისთვის სასიკეთოოდ არ მოხდა და ისინი აგრძელებენ აპელირებას, რომ ვერ მოახერხებენ კონკრეტული მედიკამენტების კონკრეტულ ფასებში შემოტანას ქვეყანაში, ამ შემთხვევაში ვიკვლევთ, არის თუ არა ბაზარზე ჩამნაცვლებელი. ჩამნაცვლებლის არარსებობის შემთხვევაში კი ხდება ფასის ხელახლა გადახედვა და კორექტირება. ასეთი პრეცედენტები გვქონია“,** – განაცხადა სულაბერიძემ და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ბაზარზე დეფიციტის საფრთხეები არ არსებობს.

**შეგახსენებთ, რომ რეფერენტული ფასები ამ ეტაპზე 2300-ზე მეტ მედიკამენტზეა დადგენილი.**

# რუსთავში „განახლებული რეგიონების“ პროგრამის სამუშაოები რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს

**რუსთავში „განახლებული რეგიონების“ პროგრამა გრძელდება. პროგრამის ფარგლებში, ქვემო ქართლის რეგიონში სამუშაოები რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დასრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები, რაც ითვალისწინებდა ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, ჯამში, 21 შენობის რეაბილიტაციას და მიმდებარე საფეხმავლო ზოლისა და ველო ბილიკის მოწყობას. ასევე, დასრულდა რუსთავის შემოსასვლელისა და თამარ მეფის სახელობის მოედნის, ჟიული შარტავას სახელობის მოედნის, შოთა რუსთაველის სახელობის მოედნის, ლადო მესხიშვილის ქუჩაზე არსებული სკვერის, დიდების მემორიალის მოპირდაპირედ არსებული სკვერის (მეგობრობის გამზირის მიმდებარე საგამოფენო სივრცე) და დიდების მემორიალის მიმდებარე სკვერის (ცურტაველის ქუჩა) რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე, მეგობრობის ქუჩაზე მიმდინარეობს პროგრამის მესამე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოები. პროგრამას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. რუსთავში პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, 50 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა.



ნაპოვნი სკულპტურა

# ხობის-წყალში ნაპოვნი უძველესი სკულპტურა

## როგორ აღმოაჩინეს ბავშვებმა 2700 წლის საკულტო ნაკეთობა

**ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში აღმოაჩინეს ხარის სკულპტურა, რომელიც დაახლოებით 3 ათასი წლის უნდა იყოს. იგი ბავშვებმა მდინარეში იპოვეს.**

ამბავი დაახლოებით შვიდი წლის წინ დაიწყო, როდესაც მდინარე ხობისწყალში პატარა ბავშვებმა ხარის მომცრო ფიგურა იპოვეს და თავიანთ სათამაშოებს მიუმატეს. კარგა ხანი ერთობოდნენ, სანამ „სათამაშო“ ხორგელმა ზვიად კორტავამ არ შეამჩნია.

**„დავინახე ხარი, ხარი ხომ სიმბოლოა და მივხვდი, რომ უბრალო რამე არ იყო“,** – ამბობს ზვიადი. 21 აგვისტოს მან სკულპტურა გოგიტა ჩიტაიას გადასცა, ძეგლთა დაცვის კუთხით ხობის მერიის მთავარ სპეციალისტს. **„ყოველი წყალდიდობის შემდეგ მდინარე ნაპირებს რეცხავს. იქ ძველი ნამოსახლარებია და ხანდახან ასეთი მასალებიც ირეცხება, შემდეგ, შეძლებისდაგვარად ვაგროვებთ და მოგვაქვს მუზეუმში“,** – ამბობს გოგიტა ჩიტაია, რომელიც ნაპოვნს ხობის მუზეუმს ჩააბარებს.

თიხისგან დამზადებული ხარის სკულპტურა სიმაღლეში დაახლოებით 10 სანტიმეტრი, სიგრძეში კი 25 სანტიმეტრამდეა. არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი, რომელმაც სკულპტურა ნახა, ამბობს, რომ მისი ასაკი სავარაუდოდ 2700-2800 წელი უნდა იყოს.

**„ხარის კულტი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ხშირად გვხდება სხვადასხვა რელიგიებში, განსაკუთრებით ძველი წელთაღრიცხვის მერვე-მეშვიდე საუკუნეებში,** - ამბობს რევაზ პაპუაშვილი, – **ბრინჯაოს პერიოდის ნივთები მრავლად გვაქვს კოლხეთში, ხაიში, ურეკში. თიხისგან დამზადებული ხარი გვხვდება ვანში, ნოქალაქევში, ყულევში. ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ რელიეფი, სადაც ეს ნივთი აღმოჩნდა, კერძოდ, სოფელი ხორგა, არ ყოფილა გამოთიშული ამ ჯაჭვისგან“.**

არქეოლოგი ამბობს, რომ სკულპტურა მდინარის კალაპოტში იპოვეს და არა რომელიმე კულტურულ ფენაში, ანუ ადგილას, სადაც ძველ ეპოქაში ადამიანები ცხოვრობდნენ ან საქმიანობდნენ. მაგრამ შესაძლოა, ის რომელიმე ასეთი კულტურული ფენის ნაშთი იყოს, მდინარის მიერ მოწყვეტილი და ჩამოტანილი. რევაზ პაპუაშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ნივთი პირდაპირ მდინარეში ჩაეგდოთ. ნივთების მდინარისთვის შეწირვა ძველი რიტუალების ნაწილი იყო.



რევაზ პაპუაშვილი და ზვიად კორტავა



# ეროვნული ბანკი ბაგრატ III-ისა და ფარნავაზ I-ის საკოლექციო მონეტების რეალიზაციას იწყებს

**ორივე ზემოხსენებულ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მქონე ოქროსა და ვერცხლის მონეტების რეალიზაცია დაიწყება ერთდროულად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

**ორივე თემისთვის 1 ოქროს მონეტის სარეალიზაციო ფასი 1,470 ლარია, ხოლო ვერცხლის მონეტის – 100 ლარი.**

### მონეტების მახასიათებლები ასეთია:

**ბაგრატ მესამის ოქროს მონეტის წონა 8.5 გ-ია, დიამეტრი: 25 მმ, რაოდენობა 700 ცალი;**

**ბაგრატ მესამის ვერცხლის მონეტის წონა 17 გ-ია, დიამეტრი: 34 მმ, რაოდენობა 4500 ცალი;**

**ფარნავაზ I-ის ოქროს მონეტის წონა 8.5 გ-ია, დიამეტრი: 25 მმ, რაოდენობა 700 ცალი;**

**ფარნავაზ I-ის ვერხცლის მონეტის წონა 17 გ-ია, დიამეტრი: 34 მმ, რაოდენობა 4500 ცალი.**

2020 წლიდან დღემდე „საქართველოს მეფეების“ სერიის ფარგლებში გამოშვებული საკოლექციო ოქროს და ვერცხლის მონეტები მიეძღვნა ერეკლე მეორეს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, ვახტანგ გორგასალსა და გიორგი ბრწყინვალეს. ამჯერად კი ეროვნული ბანკი უშვებს ოქროს და ვერცხლის საკოლექციო მონეტებს მეფე ბაგრატ მესამისა და მეფე ფარნავაზ პირველის თემებზე, რითიც აღნიშნული სერია სრულდება.

### 2023 წლის 31 აგვისტოდან დაიწყება წინასწარ შეკვეთილი მონეტების გაცემა:

საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრსა (თბილისი, კახეთის გზატკეცილი 72-ე კმ. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, შესვენება 13:00-14:00); და საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში (ყვარელი, შოთა რუსთაველის №10, ხუთშაბათიდან ორშაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, შესვენება 13:00-14:00) დარჩენილი საფასურის გადახდით, შემკვეთის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე;

საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიით, მათი ღირებულების დარჩენილი საფასურისა და მათი მიწოდების (დაზღვევის ჩათვლით) ღირებულების გადახდით; შეკვეთის დასრულებისა და მიწოდების პირობები დეტალურად იხილეთ: https://moneymuseum.nbg.gov.ge/index.php?m=384

# ფიროსმანმა დანია დაიპყრო

**„ფიროსმანის გამოფენის დამთვალიერებელთა რიცხვმა ჩვენს დიდ მოლოდინს გადააჭარბა“,** – ასე ეხმიანება დანიის ლუიზიანას მუზეუმის დირექტორი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გამოგზავნილ წერილში გენიალური ქართველი მხატვრის ექსპოზიციას.

**წერილში აღნიშნულია, რომ ფიროსმანის სივრცეს 260 ათასი სტუმარი ეწვია. გამოფენა, რომელიც მხატვრის 48 ნამუშევარს მოიცავს, ევროპაში მოგზაურობას განაგრძობს. დანიის შემდეგ ფიროსმანს შვეიცარიაში, ბეილერის ფონდში გაიცნობენ.**




# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რაფაელ ემინაგაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.062 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 110508.59 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 24 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 7 სექტემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP92125323;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 921253

6. **მოვალე:** რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო;

მარალ ბაქიევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო;

ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP92125323; ლოტის ნომერი: 921253).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 7 სექტემბრის 12:00 საათამდე.

ნიჩბოსნობა

# სალიცენზიო ვერცხლი

**გერმანიის ქალაქ დუისბურგში კანოე-კაიაკიში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომელშიც ასევე თამაშდება პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის ლიცენზიები.**

ტურნირზე კაიაკით ცურვაში ვერცხლის მედალი მოიპოვა 27 წლის ქართველმა ნიჩბოსანმა **ბადრი ყაველაშვილმა.** მან ფინალურ ეტაპზე 200-მეტრიანი დისტანცია 35.364 წამში გაცურა და მხოლოდ ლიეტუველ სპორტსმენს ჩამორჩა. მსოფლიო ჩემპიონატზე ასევე გამოვიდა ზაზა ნადირაძე. მან კანოეთი 200 მეტრზე ფინალურ გაცურვაში მეოთხე შედეგი დააფიქსირა და მედლის გარეშე დარჩა.

მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან მონაწილეობას ასევე იღებენ: გია გაბედავა, მარიამ ქერდიკაშვილი და მანანა პეტრიაშვილი.




ძალჭიდი




# ოქროც, რეკორდიც

**მირიან ოგნაძე უსინათლოთა წოლჭიმში მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენია.**

ინგლისში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა პარასპორტსმენმა სამჭიდის ჯამში 707,5კგ. დაძლია და ოქროს მედალი აიღო.

ოგნაძემ წოლჭიმში 212,5 კგ ასწია და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

გარდა ამისა, გიორგი მაისურაძემ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მაისურაძემ წოლჭიმში 160კგ. დაძლია და მეორე ადგილზე გავიდა, სამი მოძრაობის ჯამში კი მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ზაზა მარტიაშვილი ამავე ტურნირზე წოლჭიმში და სამი მოძრაობის ჯამში ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა.

მუნდიალი – 2023

# ისტორიული პირველი

**2023 წლის 26 აგვისტო ოქროს ასოებით ჩაიწერა საუკუნოვანი ქართული კალათბურთის საამაყო ისტორიაში. ამ დღეს შორეული იაპონიის კუნძულ ოკინავაზე ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჭვაროსნებმა მსოფლიოს მე-19 ჩემპიონატის სადებიუტო შეხვედრაში აფრიკული კაბო ვერდეს ნაკრები დააჩოქეს და პირველი ნაბიჯი გადადგეს პლეი-ოფისკენ. დღეს ჯგუფის ფავორიტ სლოვენიასთან ვიბრძოლებთ, ხოლო ზეგ – ვენესუელასთან.**

განვლილი ფორუმებიდან ათს ამერიკის კონტინენტმა უმასპინძლა, ხუთს ევროპამ და პლანეტის რჩეულნი მეოთხედ შეიკრიბნენ აზიაში (ამომავალი მზის ქვეყნის პარალელურად – ინდონეზიასა და ფილიპინებზე). საიუბილეო – მე-20 მუნდიალი ყატარშია დანიშნული, ასე რომ, ბალანსი ძველ სამყაროსთან მალე გათანაბრდება.




მიმდინარე საკალათბურთო ზეიმს წინ უძღოდა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი – ყველაზე ტიტულოვანი ქართველი დიდოსტატი, სამივე უმაღლესი სანაკრებო წოდების ერთადერთი მფლობელი **ზურაბ საკანდელიძე** ფიბას დიდების დარბაზის წევრად აკურთხეს, შესაბამისი დოკუმენტი კი ლეგენდის შვილიშვილს გიორგი საკანდელიძეს გადაეცა.

ეტყობა, სახელოვანი წინამორბედის ასეთმა დაფასებამაც აუწია ტონუსი მის ღირსეულ მემკვიდრეებს, თუმცა მოვლენები მთლად ისე როდი განვითარდა, როგორც ვისურვებდით.

**საქართველო – კაბო ვერდე 85:60**
**20:11, 28:11, 22:15, 15:23**

საქართველო: შენგელია – 16 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, ბითაძე – 15, 11, 3, სანაძე – 12, 2, 1, მამუკელაშვილი – 10, 8, 5, შერმადინი – 8, 5, 1, ცინცაძე – 8, 1, 4, ანდრონიკაშვილი – 7, 5, 6, მაკფადენი – 4, 1, 1, ლიკლიკაძე – 2 ქულა, 1 პასი, ტურძილაძე – 2 ქულა, ბერიშვილი – 1 ქულა, ჯინჭარაძე – 2 მოხსნა, 1 პასი.

უპირველესად, დამაფიქრებლად გვესახება ელადელი სპეციალისტის მიერ შერჩეული სასტარტო ხუთეულის მიერ პირწმინდად ჩაგდებული საწყისი ნახევარი პერიოდი და 5 წუთის შემდეგ ჩამორჩენა – 2(!):8. ვითარება მხოლოდ ბრძოლაში ბითაძის, მამუკელაშვილისა და ცინცაძის ჩაბმის შემდეგ გამოვასწორეთ. ეს შეიძლება პირობითად ითქვას, თორემ უნებლიე შეცდომებს აღნიშნული ცვლილებების შემდეგაც ხშირად ვუშვებდით, მაგრამ, რაც მთავარია, საიმედოდ გადავკეტეთ მეტოქის ლიდერები – ტავარეში და ალმეიდა (6-6 ქულა). სწორედ აქ უნდა ვეძებოთ საბოლოო დიდი უპირატესობის სათავე.

და ბოლოს: როგორც ისტორიაში პირველ სამუნდიალო მატჩს შემშვენის, გაუწყებთ, რომ პირველი ქართული ბურთი შერმადინმა ჩააგდო, პირველი სამქულიანი – გუნდის უზერებელმა რეკორდსმენმა ცინცაძემ, ბურთი პირველმა ბითაძემ ჩატენა და პირველი ჰაეროვანი ალე უპი შენგელიამ შეასრულა. ისიც სათქმელია, რომ, ჩვენი არ იყოს, საბოლოო გამარჯვებების მიუხედავად, საკუთარი თამაშის პოვნა გაუჭირდათ ავსტრალიას ფინეთთან, კანადას საფრანგეთთან და თვით აშშ-ს ახალ ზელანდიასთან. რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს, სლოვენიამ ვენესუელას 100:85 სძლია, ფავორიტის ლიდერმა დონჩიჩმა კი 37 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტი: ვენესუელამ მეტი სამქულიანი ჩააგდო (16), ვიდრე ორქულიანი (15).

ოვალური ბურთი

# საიმედო ტაიმი



**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასამდე ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა და „მარიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებთან დამარცხდა.**

„ბორჯღალოსნებმა“ ტაიმზე მეტი ხანი მასპინძლები უქულოდ დატოვეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გატყდნენ. პირველ ტაიმში ლუკა მატკავამ ორი ჯარიმა გაიტანა, რითაც საქართველო 6:0 დაწინაურდა და ტაიმიც მოიგო. ეს ანგარიში 46-ე წუთამდე შენარჩუნდა. შემდეგ კი სქოთებმა ხელშესახები უპირატესობა მოიპოვეს, საქართველოს ნაკრების დაცვაში სივრცეების პოვნა მოახერხეს და 5 ლელო მიითვალეს, რის შედეგადაც საბოლოოდ 33:6 იმარჯვეს.

ამრიგად, საქართველოსა და შოტლანდიის მეექვსე დაპირისპირებაც მეტოქის გამარჯვებით დასრულდა. ასევე შეწყდა „ბორჯღალოსანთა“ 9-მატჩიანი მოგებების სერიაც. ლევან მაისაშვილის გუნდმა მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა: 2 ტესტ-მატჩი მოიგო, ერთხელ კი მარცხი განიცადა.

**საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე ავსტრალიას (9 სექტემბერი), პორტუგალიას (23 სექტემბერი), ფიჯის (30 სექტემბერი) და უელსს (7 ოქტომბერი) დაუპირისპირდება.**

ოქტაგონზე

# გამარჯვებით დაბრუნდა




**UFC-ში გიგა ჭიკაძემ თითქმის 18-თვიანი პაუზის შემდეგ იჩხუბა და დაბრუნება გამარჯვებით მოახერხა.**

ქართველი მებრძოლი ალექს კასერესს შეხვდა, რომელსაც შანსი არ მისცა და სამივე რაუნდში აჯობა – 30:27, 30:27, 30:27.

ეს ჭიკაძის მერვე მოგებაა UFC-ში, ზოგადად კი მე-18 ბრძოლიდან მე-15 დაასრულა გამარჯვებით. ქართველი ამჟამად ქვემსუბუქი წონის კატეგორიის რეიტინგში მეცხრე ადგილზეა.

ტატამზე

# მედლების კოლექცია

**ბირმინგემში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე პარა ძიუდოში ნუკრი მიღრიჯანაშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.**

-60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველმა პარა ძიუდოისტმა მიჯრით ძლიერი იაპონელი და ბრაზილიელი მეტოქეები დაამარცხა, ნახევარფინალში კი პარალიმპიური თამაშების გამარჯვებულს – შერზოდ ნომოზოვსაც იპონით სძლია.

გადამწყვეტ შეხვედრაში მიღრიჯანაშვილი უზბეკ კერმან ნურილაევს დაუპირისპირდა, რომელთანაც მარცხი განიცადა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

იქვე ლაშა ყიზილაშვილმა და რევაზ ჩიკოიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.




ჩიკოიძემ (+90 კგ) ბრიტანელ და უზბეკ მოწინააღმდეგეებს სძლია, ნახევარფინალში თურქ მეტოქესთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი კუბელ პარასპორტსმენს მოუგო.

ასევე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა 90 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ყიზილაშვილი.



### გიორგი ბაქრაძე:
## მოდი, ვაღიაროთ, ნესტან-დარეჯანი სინამდვილეში ცუდი ადამიანია!..

**„სკოლაში კრიტიკულ აზროვნებას უთმობენ მნიშვნელოვან როლს. მე დიდ პრობლემად მიმაჩნია ჩვენთან, ქართულში თემების წერა. თემების წერა ცუდი იდეა არაა, გაძლევენ პერსონაჟს და უნდა დაწერო მისი სახე. მაგრამ ჩვენთან არის ასეთი სტანდარტი, რომ პარტიის გენერალურ ხაზს უნდა გაჰყვე.**

**თუ ნესტან-დარეჯანზე წერ, უნდა თქვა ლამაზი, კარგი... რომელიც სინამდვილეში ცუდი ადამიანია, მოდი ვაღიაროთ. ძალიან დიდი ბოდიში, ყველასთან. მაგრამ ეს რომ ბავშვმა დაწეროს სკოლაში კარგ ნიშანს ვერ მიიღებს. მასწავლებელი უნდა აფასებდეს არა შინაარსს, არამედ არგუმენტს“**, – ამის შესახებ **გიორგი ბაქრაძემ** „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში განაცხადა.

— — — — — — — — — — — — — — — — — —

# დავიცვათ „ვეფხისტყაოსანი“!



### გია მურღულია:
## წარმოუდგენელი სიბეცეა, საჯაროდ აცხადებდე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქალებს არ ამეფებენ ან ნესტანი ცუდი ადამიანია!

**სჭირდება თუ არა ვეფხისტყაოსანს დაცვა? დიახ, სჭირდება. რატომ? იმიტომ, რომ ამით საქართველო და ქართველი (მეტიც – ზოგადად, კეთილი ადამიანური გუნება) საკუთარ თავს (ფიქრს, სიტყვას, საქმეს, განწყობას, ღირსებას, სიყვარულს, პასუხისმგებლობას) იცავს**, – ამის შესახებ ფილოლოგი გია მურღულია სოციალურ ქსელში წერს.

**„წარმოუდგენელი სიბეცეა (მეტი რომ არ ვთქვა), საჯაროდ აცხადებდე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქალებს არ ამეფებენ ან ნესტანი ცუდი ადამიანია. არც პირველია მართებული და არც მეორე – სხვადასხვა დროს სხვადასხვა კაცისგან ნათქვამი ორივე მამალი ტყუილია.**

**ეს უცილობლად ასეა, თუ ვინმე სხვა „ვეფხისტყაოსანს“ არ კითხულობს – ის „სხვა“ კი, უბრალოდ, არ არსებობს.**

**ლიტერატურულ პერსონაჟზე არ უნდა იმსჯელო, როგორც მეზობლის ქალზე (კაცზე). საერთოდ, ლიტერატურა ცხოვრებას კი ასახავს, მაგრამ არსებითად განსხვავდება კიდეც მისგან – ის გაცილებით მეტ პირობითობას, სახეობრიობას, სიმბოლურობას და კიდევ ბევრ სხვა რამეს გულისხმობს. მათ შორის მექანიკურად ტოლობის ნიშნის დასმა უხერხული შეცდომაა.**

**ნესტანი უპირობოდ გამორჩეულია, მაგრამ, რა თქმა უნდა, იდეალური არ არის (რუსთველს ეს ამოცანა არც დაუსახავს) – და, თუ რამ შეცდომას უშვებს, ნანობს კიდეც. ამის „მიღმა“ ის ულამაზესი, უჭკვიანესი, „მაღალი და მაღლა მხედია“ – ქალი, რომელიც თაობათა შთაგონების წყაროდ და ქართველად ყოფნის ერთ-ერთ დიდებულ მაგალითად იქცა.**

**ჰო, კიდევ ერთი – ახლა ბავშვებს ორიგინალური (თუნდაც საკამათო) აზროვნებისთვის ბევრი აღარავინ სჯის თუ ამუნათებს. თუ სადმე ასეთი „გამონათებები“ არის, მკვეთრად უარსაყოფია. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ქართული განათლების სისტემა (რომელსაც, ცხადია, ბევრი ნაკლი აქვს) მოსწავლეებში კრიტიკულ აზრს მუდმივად ახშობს, ერთმნიშვნელოვნად მცდარია. ასეთი „მსჯელობა“ უამრავი კეთილგონიერი და კეთილსინდისიერი მასწავლებლის შეურაცხყოფაა.**

**მარტივი პრინციპია:**

**რაც კარგად არ გესმის, იმაზე (მით უმეტეს – საჯაროდ) არ უნდა ილაპარაკო. რა თქმა უნდა, აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია, მაგრამ იმ აზრს აზრი უნდა ჰქონდეს და, ნებით თუ უნებურად, არარაობის ან მავნებლობის გზაზე არ დადგეს.**

**ის, რაც ჩვენს სულსა და გონებას, ჩვენს ხედვას, ჩვენს იდენტობას გამოხატავს, შეფასებისას მეტ დაფიქრებას, მეტ პატივისცემასა და მეტ გაფრთხილებას მოითხოვს.**

**ნესტანის არ იყოს, შეიძლება ადამიანმა შეცდომა დაუშვას, მაგრამ კარგი იქნება, თუ მასავით მოინანიებს.**

**ადამიანებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, გავაქილიკოთ ან ვაგინოთ, არამედ მათ გადაცდომებზე პრინციპულად უნდა მივანიშნოთ, რათა (თუ შეცდომის დამშვებს რაიმე ავტორიტეტი აქვს) საზოგადოება არ დაიბნეს და არამართებული დასკვნები არ გამოიტანოს. სიტყვა ძლიერია! კარგია, როდესაც კარგ საქმეს ემსახურება, მაგრამ სახიფათოა, როდესაც ცრუ განწყობებს აღვივებს“...**

# ევრონიუსის გადამღები ჯგუფი ბათუმზე ვრცელ რეპორტაჟს ამზადებს



**საერთაშორისო კომპანია „ევრონიუსი“ ბათუმის შესახებ ვრცელ რეპორტაჟს ამზადებს, რომელიც პოპულარულ სამოგზაურო გადაცემაში „Explore“ სექტემბერში გავა,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე განცხადებით, სიუჟეტით არხის მილიონობით მაყურებელს საშუალება ექნება გაიცნოს ბათუმის მრავალფეროვანი ტურისტული შესაძლებლობები, ქალაქის ძველი და თანამედროვე სახე, ეკოტურისტული მიმართულებები, ქართული გასტრონომია, ფოლკლორი და ღვინის დაყენების 8 000-წლოვანი ტრადიცია.

გადაცემა „Explore“-ის გადამღებმა ჯგუფმა გადაღებები ბათუმიდან დაიწყო, შემდეგ კი საქართველოში მცხოვრებ ბრიტანელ ეკოლოგთან ერთად მტირალას ეროვნული პარკი დალაშქრა. აჭარული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი კერძების მასტერკლასები, ფოლკლორ შოუ და ქართული ღვინის ქვევრიდან ამოღების პროცესი ევრონიუსმა ქობულეთში გადაიღო. გადამღები ჯგუფი რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით სტუმრობს.

**წელს, ევრონიუსზე აჭარის ორთვიანი საიმიჯო კამპანია მიმდინარეობდა. საერთაშორისო ტელეკომპანიის ეთერში რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლებს მილიონობით მაყურებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაეცნო. ევრონიუსს მსოფლიოს მასშტაბით 400 მილიონზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ის 160 ქვეყანაში 17 ენაზე მაუწყებლობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პროდუქტების სატელევიზიო რეკლამა BBC-სა და Deutshce Welle-ს ეთერში განახორციელა. აქტიურად მიმდინარეობს რეგიონის პოპულარიზაცია ტრადიციულ სამიზნე ქვეყნებსა და ახლად დამატებულ ევროპულ ბაზრებზეც.**

რეგიონის პოპულარიზაციისა და უცხოელი ტურისტების მოზიდვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს უცხოელი ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების ვიზიტი აჭარაში. მიმდინარე წელს, აჭარას უკვე სტუმრობდა სერბი, კორეელი, არაბი, უზბეკი, ყაზახი, პოლონელი, ებრაელი, გერმანელი, სომეხი და თურქი ჟურნალისტები. 2022 წელს ბათუმი 500-მდე ჟურნალისტს, ბლოგერსა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელს მასპინძლობდა.

# მისი უდიდებულესობა ქართული ღვინო!

## ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ექვს თვეში ქართული ღვინო მსოფლიოს 11 ქვეყანაში, 35 სხვადასხვა ღონისძიებაზე იყო წარდგენილი

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ექვს თვეში ქართული ღვინის მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიის, მცირე და საშუალო მარნის პროდუქცია წარდგენილი იყო აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, ლატვიაში, ჩინეთში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ კორეასა და დანიაში.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ ისეთ საერთაშორისო გამოფენებში, როგორებიცაა: VinExpo Paris, Foodex Japan, Vinexpo New York, ProWein, The 10.th China Food &amp. Drinks Fair, London Wine Fair, Seoul Wine and Spirits Expo და სხვა.

**„ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ჯამში, ქართული ღვინო წარდგენილი იყო 10 საერთაშორისო გამოფენაზე, ცხრა ფესტივალსა და 16 დეგუსტაციაზე. მსგავს გამოფენებში მონაწილეობით ქართველ ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი პროდუქცია გააცნონ ღვინის პროფესიონალებს, იმპორტიორებს, სავაჭრო და სარესტორნო ქსელების წარმომადგენლებს, რაც ქართული ღვინით დაინტერესებისა და გაყიდვების ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამისთვის 2023 წლის ბიუჯეტი 14 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატება 2022 წლის ბიუჯეტს.**

**ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებად აღიარებულია ამერიკის შეერთებულ შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია. გარდა სტრატეგიული ბაზრებისა, ქართული ღვინო წარმოდგენილია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე. ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები იმართება საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალის სრულად ათვისებისთვის და ღვინის სამომხმარებლო კულტურის გაზრდისთვის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ 2023 წლიდან ქართული ღვინის პოპულარიზაციის მხარდაჭერის ღონისძიებებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სოფლის მეურნეობის პროგრამა ჩაერთო. ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მარკეტინგული ღონისძიებები ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიასა და სამხრეთ კორეაში იმართება“**, – აცხადებენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.





# მარიამობა

## ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული

28 აგვისტოს მთელი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის მიძინების დღეს. ეს დღესასწაული გრძელდება 5 სექტემბრის ჩათვლით.

მთელი ქრისტიანული სამყარო განტკიცებულია მარიამ ღვთისმშობლის ლოცვით, ის მოციქულთა მსგავსად დედაეკლესიას ღვთის მადლით განამრწყინებდა...

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანები უდიდეს პატივს მიაგებდნენ დედა ღვთისმშობელს, ამიტომ მის ყოველ სიტყვას და საქმეს იმახსოვრებდნენ. მათ შემოგვინახეს ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც. მარიამ ღვთისმშობლის სახელი ყველგან იყო გავრცელებული, ბევრს შურდა კიდევაც მისი... მაგრამ ღმერთი იფარავდა მას. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს, 28 აგვისტოს მიიძინა წმინდა იოანე ღვთისმშობლის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა.

საგულისხმოა ისიც, რომ მარიამ ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და მეოხია ყველასი, ვინც მიმართავს მას: „დედოფალო, გვაცხოვნე ჩვენ!“

...მხოლოდ საქართველოში კი ასე ვევედრებით: „დედოფალო, შეგვეწიე ქართველებს!“

## მილოცვა

მარიამობის მადლი და დაბადების დღე მინდა მივულოცო დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მრავალმხრივობით გამორჩეულ ადამიანს, მრევლისთვის უანგარო და დაუღალავ მლოცველ მოძღვარს, დეკანოზ

**მამა დავითს,**

რომელიც დღემუდამ ლოცულობს ჩვენთვის.

მინდა ჯანის სიმრთელე ვუსურვო, წელთა სიუხვე და როგორც მგალობლები უგალობენ: „მრავალჟამიერ, სიცოცხლე მისი“... ამინ!

**გიული ლიპარტია**

# დანიელებს წმინდა წიგნების დაწვა აუკრძალეს!




**დანიაში ყურანის, ბიბლიის და სხვა წმინდა წიგნების საჯარო დაწვა აიკრძალება. ეს სისხლის სამართლის დანაშაული გახდება, რისთვისაც 2 წლამდე პატიმრობა იქნება გათვალისწინებული,** – ამის შესახებ დანიის იუსტიციის მინისტრმა პეტერ ჰუმელგორდმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, ყურანის დაწვა არის „დამამცირებელი ქმედება, რომელიც ემუქრება დანიელთა უსაფრთხოებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ“. მისივე თქმით, არსებობს საკუთარი აზრის და შეხედულების გამოხატვის ბევრად უფრო ცივილიზებული მეთოდები. დანიის მთავრობა ამ გადაწყვეტილების მიღებას მუსულმანურ ქვეყნებში მასიური პროტესტის ფონზე გეგმავს, რომელმაც ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებზე ნეგატიურად აისახა. პროტესტი მას შემდეგ დაიწყო, რაც დანიის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე რამდენიმე ადამიანმა საჯაროდ დაწვა მუსულმანთა წმინდა წიგნი – ყურანი. იგივე მოხდა შვედეთშიც. ანალოგიური კანონის მიღების შესაძლებლობა შვედეთშიც განიხილება.

# „ღამის სერენადების“ ბათუმური კონცერტი დასრულდა

**ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში „ღამის სერენადების“ ბათუმური კონცერტების დასკვნითი საღამო გაიმართა.**

მსმენელის წინაშე წარდგნენ მსოფლიოში აღიარებული კორეელი მევიოლინე ჰეიონ პარკი, ცნობილი ქართველი პიანისტი თამარ ლიჩელი, ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ (კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე). საღამოზე აჟღერდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებები. „ღამის სერენადები“ 22 სექტემბრიდან თბილისში გადმოინაცვლებს და კლასიკური მუსიკის მოყვარულებს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეხვდება.

**„ჩვენი ფესტივალი უკვე თბილისში გაგრძელდება – 22, 23 და 24 სექტემბერს დედაქალაქში შევხვდებით მსმენელს. საფესტივალო საღამოები შედგება ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც დამსწრეთა წინაშე შესანიშნავი ხელოვანები წარდგებიან“,** – განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

**„უბედნიერესი ვარ, რომ ვმონაწილეობ „ღამის სერენადებში“, რომელიც ლეგენდარულმა ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ დააარსა. ამ ფესტივალს აგრძელებს ისაკაძეების გვარის წარმომადგენელი – გიორგი ისაკაძე, არ იკარგება ეს უძვირფასესი ფესტივალი და მასშტაბურად გრძელდება. გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი სოლისტები გვყავდა – ჰეიონ პარკი და თამარ ლიჩელი, ჩვენ კვინტეტის სახით, ანუ „საქართველოს ვირტუოზებმაც“ წარმოვადგინეთ ურთულესი პროგრამა, ეს არის ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის ახლებური ვერსია“,** – განაცხადა ლეილა მჭედლიძემ.



„ღამის სერენადები“ ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე საერთაშორისო ფესტივალია საქართველოში, რომელიც არსებობის 41 წელს ითვლის. ფესტივალის შექმნის იდეა ეკუთვნის ლიანა ისაკაძეს – ქართველ მევიოლინესა და დირიჟორს, საქართველოს სახალხო არტისტს, რომელიც საუკუნის უდიდესი მუსიკოსების რიცხვს მიეკუთვნება.

ჯერ კიდევ 1982 წელს, ლიანა ისაკაძემ, საქართველოს უმშვენიერეს მხარეში – აფხაზეთში, დააარსა საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც ზაფხულობით ბიჭვინთაში იმართებოდა და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. 1991 წელს ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა, 2002-2009 წლებში ფესტივალი ტარდებოდა ბორჯომში „ხელოვნების ზეიმის“ სახელით, 2009 წლიდან კი შესაძლებელი გახდა „ღამის სერენადების“აღდგენა და ფესტივალმა შავიზღვისპირეთის ულამაზეს ქალაქ ბათუმში გადაინაცვლა.

# რამდენიმე წელიწადში ინდონეზიას მყინვარები არ ექნება

**ინდონეზიაში მდებარე რამდენიმე ტროპიკული მყინვარიდან ორი, რომელთა ასაკი 12000 წელზე მეტს ითვლის, სწრაფი ტემპით დნება.** 2026 წლისთვის ან უფრო ადრეც, ისინი შესაძლოა მთლიანად გაქრნენ.

**„მყინვარები შეიძლება 2026 წლამდე გაქრეს, ან უფრო სწრაფად და „ელ ნინიოს“ (თბილ სეზონურ ზედაპირულ დინებას) შეუძლია დააჩქაროს დნობის პროცესი“,** – განაცხადა კლიმატის კვლევის სააგენტოს განყოფილების კოორდინატორმა, დონალდ პერმანამ.

მისი თქმით, **მყინვარების სიღრმე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. 2010-2021 წლებში – 32 მეტრიდან 8 მეტრამდე, ხოლო მათი საერთო სიგანე 2000-2022 წლებში – 2,4 კილომეტრიდან 230 მეტრამდე შემცირდა.**



ექსპერტები აღნიშნავენ, რომ **ტროპიკული მყინვარების დნობამ შეიძლება რეგიონალური ეკოსისტემა დაარღვიოს და 10 წლის განმავლობაში გლობალური ზღვის დონის აწევა გამოიწვიოს, რისი შეჩერებაც მათივე განმარტებით, პრაქტიკულად შეუძლებელია.**


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323

2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 31 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6299; ევრო - 2.8400;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3131;
100 რუბლი - 2.7729; თურქული ლირა - 0.0995;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5495;
1000 სომხური დრამი - 6.8127

**ამინდი 28 აგვისტოსთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +32 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +31 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge